# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 21 სექტემბერი, 2012 წელი.

№181 (7057)


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცურება ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


# ჟამი ვარდის გაცოცხებისა და ჟამი სიმართლის გაცოცხლებისა...




- პრეზიდენტი ხარ?
- ვარ!
- უკან რომ ცოცხი გაქვს?
- პრეზიდენტი ვააააარ!..

**გიორგი ფოფხაძე:**

**ეს კადრები მომაწოდა ირმა ინაშვილმა, რომელსაც შსს მაღალჩინოსნები წარუდგნენ ვანო მერაბიშვილის დავალებით...**

3

**საბჭოთა ხელისუფლება კლასობრივ მტრად მიიჩნევდა, მაგრამ ციხეში ხელიც კი არავის დაუკარებია**

4

## ევროკავშირი შოკირებულია გლდანის საპყრობილეში პატიმართა წამების შემაძრწუნებელი ფაქტებით

**საქართველოში** ევროკავშირის წარმომადგენლობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიებთან შეთანხმებით განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

— ევროკავშირი შოკირებულია გლდანის საპყრობილეში პატიმართა მიმართ მოპყრობის შემაძრწუნებელი კადრებით. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს და სხვა ინციდენტები სიღრმისეულად და გამჭვირვალედ იქნეს გამოძიებული და პასუხისმგებელი პირები წარსდგნენ მართლმსაჯულების წინაშე. პატიმართა მიმართ დამამცირებელი მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევის უმნიშვნელოვანესი საკითხია, როგორც ეს სახალხო დამცველის ანგარიშებშია მოხსენიებული. ჩვენ მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას, ყველა ზომა გამოიყენოს ამ დარღვევების ეფექტური აღმოფხვრისთვის, — აღნიშნულია განცხადებაში.

# არ შევეგუოთ შიშსა და ძალადობას!

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის თანამშრომლებს! საზღვარგარეთის ქვეყნებში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს!

პატივცემულო კოლეგებო,

ვფიქრობთ, ბევრ ანალიზს არ საჭიროებს ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარება, რაც კიდევ უფრო დაძაბა ჩვენი თანამოქალაქეების წამებისა და შეურაცხყოფის თავზარდამცემმა კადრებმა. ჩვენ ყველა კიდევ ერთხელ ვართ ღირსებაშელახული მოძალადე ხელისუფლებისგან. ამ განუკითხაობას ბოლო უნდა მოეღოს და ყველა მოძალადე სათანადოდ დაისაჯოს. ფაქტობრივად გამოჩნდა დღევანდელი რეჟიმის დანაშაულებრივი სახე.

სამწუხაროდ, მეორედ გვიხდება ღია წერილით თქვენდამი მომართვა, რაც ნამდვილად არ გვიქმნის კომფორტს ყოფილ კოლეგებთან ურთიერთობის ფორმის მხრივ, მაგრამ ვალდებულად ვთვლით თავს, კიდევ ერთხელ შეგახსენოთ – დიპლომატიური სამსახური უნდა იყოს არა ცალკეული პოლიტიკური, მათ შორის მმართველი მხარის ინტერესების გამტარებელი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ინტერესების დამცველი. მით უმეტეს, რომ საუბარია ისეთ მოძალადე რეჟიმზე, რომელმაც არა მხოლოდ თავისუფალი არჩევანის გაკეთება შეუზღუდა ჩვენს მოქალაქეებს, არამედ მათი პირადი ღირსება და სიცოცხლის უფლებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

კოლეგებო, არსებული ხელისუფლების მოძალადე ბუნების გამოვლენილი ფაქტები საკმარისზე მეტია: უდანაშაულო ახალგაზრდების მკვლელობები, 7 ნოემბერი, 15 ივნისი, 26 მაისი და ა.შ. ამ დღეების კადრები კი ამ ყველაფრის კულმინაცია გახლდათ. მეტი რაღა უნდა მოხდეს, რომ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად, საჯარო სამსახურში მყოფმა პირებმაც შეაფასონ არსებული ვითარება და არა მხოლოდ ღირსეული, არამედ სახელმწიფოებრივი ნაბიჯიც გადადგან. დადგა დრო,რომ ქართულმა საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ, არჩევნების გზით გადაწყვიტოს თავისი მომავალი - ან ვეგუებით ძალადობას, ულირსობას, შიშს და სიძულვილს, ან ვირჩევთ თავისუფლებას, ღირსებას და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

ის, რომ 1 ოქტომბერს საზოგადოება სწორ არჩევანს გააკეთებს, ეჭვი ნამდვილად არ გვეპარება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თითოეული ჩვენთაგანი საზოგადოების ნაწილია, საზოგადოებისა, რომელიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებს იცავს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ. ნამდვილად არ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ინტერესებში მოძალადე ხელისუფლების დარჩენა და მხარდაჭერა შედიოდეს.

მოგმართავთ ყველა დიპლომატს, ვისაც სინდისი სუფთა აქვს, თავად აჩვენეთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მაგალითები და თავი დაალწიეთ მორალისა და კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გასული მმართველი რეჟიმის სამსახურს. ამის შანსი თქვენ ქართველ ხალხთან ერთად გექლევათ 1 ოქტომბერს. აქვე შეგახსენებთ, რომ მსგავსი ღირსეული, პატრიოტული და სახელმწიფოებრივი მაგალითებიც მოიძებნება საქართველოს უახლოეს ისტორიაში.

მარტო ლევან მიქელაძის ნაბიჯის გახსენებაც საკმარისია ამისათვის. 2007 წლის ნოემბერში, თავისი ქვეყნის უდიდესმა პატრიოტმა, მაღალი მორალის და ზნეობის ადამიანმა, პროფესიონალმა დიპლომატმა საკუთარი მოქალაქეობრივი და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა ღირსეულად გამოხატა – მან არჩევანი საკუთარი ქვეყნის თავისუფლების და დემოკრატიის სასარგებლოდ გააკეთა – დროა, ეს არჩევანი თქვენც გააკეთოთ.

პატივისცემით –

**სალომე ზურაბიშვილი, ირაკლი ალასანია, თედო ჯაფარიძე, ალექსი პეტრიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, მაია ფანჯიკიძე, დავით ზალკალიანი, ზაალ გოგსაძე, გიორგი ვოლსკი, ირაკლი ჩიქოვანი, კონსტანტინე სურგულაძე**

⊙ SOS!

# ვლადიმერ ბედუკაძე: გამორიცხულია, მიშა სააკაშვილს პატიმრების არაადამიანური წამებების შესახებ არ სცოდნოდა



**„ძალიან მძიმე სათქმელია და განსაკუთრებით მძიმე მოსასმენია ეს ალექსანდრე თეთრაძის ოჯახის წევრებისთვის, მაგრამ მე ვადასტურებ, რომ პოლკოვნიკი სწორედ წამების დროს შემოაკვდათ. ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას დავალებით, მას აუპატიურებდნენ რეზინის ხელკეტით ალექსანდრე მუხაძე და ოლეგ ფაცაცია. მზად ვარ, მათ ხელი დავადო და დავამტკიცო ის, რასაც ახლა ვამბობ. ამის დამადასტურებელი ვიდეომასალა ბაჩო ახალაიას სეიფში ინახება“.**

„სასჯელაღსრულების სისტემაში, ყოველ პარასკევს ე.წ. „წითელი პარასკევი“ ეწყობოდა და სისხლის გუბეები დგებოდა საკნებში. სააკაშვილის სისხლიანი ხროვის წევრები უმოწყალოდ სცემდნენ და აწამებდნენ პატიმრებს“.

„გამორიცხულია მიშა სააკაშვილს პატიმრების არაადამიანური წამებების შესახებ არ სცოდნოდა. მეტიც, მან ბაჩო ახალაია სასჯელაღსრულების დეპარტამენტში „მოღვაწეობის“ გამო დააწინაურა. სააკაშვილმა თქვა, რომ ბაჩო ახალაიამ „გაქაჩა“. რასაც ნიშნავს „გაქაჩვა“, ყველასთვის გასაგებია“,

„ძირითადი საყრდენი სასჯელაღსრულების სპეცრაზმი იყო, რომელსაც ყველა დარბევის დროს იყენებდნენ. მათ შორის, 2011 წლის 26 მაისის დარბევის დროს. ეს სპეცრაზმი ემორჩილებოდა ბაჩო ახალაიას.

**ვლადიმერ ბედუკაძე,**

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიუდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მე-8 საპყრობილის (გლდანის) ყოფილი მორიგე ინსპექტორი

**For.ge**






# არც ერთი ბავშვი წამების მსხვერპლი არ უნდა გახდეს!

## გაეროს ბავშვთა ფონდის განცხადება

**გაეროს ბავშვთა ფონდი მკაცრად გმობს ბავშვების უფლებათა დარღვევას პენიტენციარულ სისტემაში, რაც დოკუმენტირებულ იქნა და გადაიცა ამ ბოლოდროინდელ საინფორმაციო გამოშვებებში.ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის თანახმად „არც ერთი ბავშვი არ უნდა ემსხვერპლოს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობასა და დასჯას.“ (მუხლი 37, სკს). იგივე უფლებების შესახებ ნათქვამია სხვა საერთაშორისო და რეგიონულ ხელშეკრულებებში, რომლებსაც საქართველომ ხელი მოაწერა და რომელთა რატიფიცირებაც მოახდინა.**

გაეროს ბავშვთა ფონდი მთავრობას მოუწოდებს, დაიწყოს სრულყოფილი გამოძიება პატიმარი და დაკავებული მოზარდების ცუდი მოპყრობის ფაქტების შესახებ. საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ყველა ბავშვის დაცულობა და უსაფრთხოება, მათ შორის მათიც, ვინც შეიძლება გახდეს მსხვერპლი ან ძალადობის მოწმე საპატიმრო ადგილებში. მთავრობამ უნდა დაიცვას არასრულწლოვანთა უფლებები.

გაეროს ბავშვთა ფონდი შეშფოთებულია სავარაუდო ცუდი მოპყრობით ავჭალის მოზარდთა საპყრობილეში, რომელსაც, 2012 წლის 9 აგვისტოს განცხადებაში შეეხო ომბუდსმენი და მოუწოდა მთავრობას, მიიღოს ადეკვატური და სწრაფი ზომები.



გაეროს ბავშვთა ფონდი სხვა დონორებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან ერთად ეხმარებოდა საქართველოს მთავრობის რეფორმებს მოზარდთა სასჯელაღსრულების სისტემაში და მზადაა გაუწიოს უწყვეტი დახმარება ყველა პარტნიორს ისე, როგორც ეს შეესაბამება სკს-ს და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებს.

**unicef.ge**

# დაკავებულია კიდევ ერთი წამების მონაწილე ინსპექტორი

**გუშინ დააკავეს არასრულწლოვანთა გლდანის 38-ე საპყრობილის განყოფილების ინსპექტორი კობა ჩიკვატია, – ამის შესახებ გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა.**

მისი თქმით, ჩიკვატიას ბრალი ედება პატიმრების სასტიკ მოპყრობასა და წამებაში.

როგორც ზოდელავამ განაცხადა, ჩიკვატიას, ადრე დაკავებულ ათ პირთან ერთად, უკვე შეეფარდა ორთვიანი წინასწარი პატიმრობა.

# ახალი მინისტრი



გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით სასჯელაღსრულების მინისტრად დაინიშნა გიორგი ტუღუში, რომელიც აქამდე სახალხო დამცველი იყო.

# სოფელ შავშვების მოსახლეობამ ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვა სცადა

**თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის შავშვების მონაკვეთზე სოფლის მოსახლეობამ გუშინ საგზაო მაგისტრალის გადაკეტვა სცადა.**

**როგორც იუწყებიან, სოფლის მცხოვრებლებმა პროტესტი ორი კვირის წინაც გამოხატეს. მათი თქმით, ავტობანის გაყვანის შემდეგ სოფელი მისასვლელი გზის გარეშე დარჩა.**

სოფლის მცხოვრებთა განცხადებით, სოფელს არ გააჩნია მისასვლელი გზა და უკვე კარგა ხანია, ხელისუფლების წარმომადგენლები ამ პრობლემის მოგვარებას ჰპირდებიან. გარდა ამისა, შავშვების მოსახლეობა იმასაც აცხადებს, რომ სოფელი სარწყავი და სასმელი წყლის გარეშეა დარჩენილი, რის გამოც ხეხილის ბაღები მთლიანად გახმა.

აქციის მონაწილეებთან გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული მივიდნენ.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული როინ ფოლადაშვილი აცხადებს, რომ გზის მოწესრიგება უკვე დაწყებულია.

შავშვების მოსახლეობასთან შესახვედრად კოალიცია „ქართული ოცნების“ გორის მაჟორიტაროზის კანდიდატი სოსო ვახტანგაშვილიც მივიდა.

მისი განცხადებით, შავშვების მდგომარეობაში გორის რაიონში არაერთი სოფელია და კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ყველა სოფელს მსგავსი პრობლემები ბოლომდე მოუგვარდება.

**ინტერპრესნიუსი**



ხელები შორს — ქართული მედიისგან!

## ირმა ინაშვილი:

# ხელისუფლება „მაესტროსა“ და „მე-9 არხთან“ დაკავშირებით სპეცოპერაციას გეგმავს



**„მაწვდიან ინფორმაციას, რომ ხელისუფლება „მაესტროსა“ და „მე-9 არხთან“ დაკავშირებით სპეცოპერაციას გეგმავს. შურისძიება უნდათ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გამო, რომელიც პირველად აღნიშნული ტელევიზიების ეთერით გავიდა“,** — განაცხადა „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა.

**„ვაცხადებ, რომ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალები პირადად ჩემი მოპოვებულია. ეს ისტორია მაისის თვეში დაიწყო, როდესაც ვანო მერაბიშვილის სახელით მომაწოდეს ეს შემზარავი ვიდეოკადრები. მასალის გადმომცემმა მითხრა, რომ ადამიანი, რომელმაც ეს ვიდეომასალა გადაიღო, საქართველოს საზღვრები უკვე დატოვებული ჰქონდა. თავისთავად საინტერესოა, როგორ მოახერხა ამ მასალის გადამღებმა საქართველოს დატოვება. ჩავთვალე, რომ ეს სულაც არ მოხდა შემთხვევით და ძალოვანი სტრუქტურების გარკვეული შტოს მხრიდან მხარდაჭერა იყო.**

**თქვენ ნახეთ ვიდეომასალის მხოლოდ ფრაგმენტები, ხელში მიჭირავს ჩიპი, სადაც არის საათნახევრიანი ვიდეომასალა, რა ხდებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ეს მასალები დაეგზავნა ყველა ევროსტრუქტურის წარმომადგენელს, ამიტომ ხელისუფლების მხრიდან მუქარას არანაირი აზრი არ აქვს.**

**მას შემდეგ, რაც მივიღე ეს მასალა, დავუკავშირდი ჩემს კოლეგას ბრიუსელში, „ობიექტივის“ ბიუროს წარმომადგენლებს, გიორგი ფოფხაძეს და მერაბ ბლადაძეს, სწორედ მათი დახმარებით მოხდა ამ ვიდეომასალის მიწოდება ევროსტრუქტურის წარმომადგენლებისთვის და მაღალჩინოსნებისთვის. ეს ადამიანები შოკში იყვნენ, როდესაც კადრები ნახეს.**

**მაწვდიან ინფორმაციას, რომ ხელისუფლება „მაესტროსა“ და „მე-9 არხთან“ დაკავშირებით, სპეცოპერაციას გეგმავს. ხელისუფლებას მინდა მივმართო, არც „მაესტროა“ შუაში და არც „მეცხრე არხი“, პირადად ჩემი მოპოვებულია ეს მასალა. არც ერთი პიროვნება, პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელზეც ეს ხელისუფლება საუბრობს, მათ შორის თამაზ თამაზაშვილი, ამ პროცესებში არანაირ კავშირში არ არის.**

**გაჟონა ინფორმაციამ და ხელისუფლებამ შეიტყო, რომ 20 სექტემბერს ბრიფინგის ჩატარებას ვგეგმავდით ბრიუსელში, ამის გამო, ხელისუფლებამ თითქოს გადაფარა ეს ბრიფინგი და მანამდე გამოაქვეყნეს კადრები, თურმე როგორი მდგომარეობა ყოფილა ციხეებში. გაითვალისწინოს ხელისუფლებამ, რომ მუქარის არ გვეშინია. ყველაფერი ქართველი ხალხის და სიმართლის გამარჯვებით დასრულდება“,** — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მედიანიუსი

დიდი ამბავი

**ეკა ბერიძის გადაცემა მე-9 არხის „მთავარი კითხვის“ პირდაპირ ეთერში ჟურნალისტმა გიორგი ფოფხაძემ ბრიუსელიდან სკანდალური ფაქტები დაგვიდო. ფრანგული ასოციაცია „ჟურნალისტები ჟურნალისტებისათვის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ფრანგული რადიო RTI-ს კორესპონდენტმა (tspress.ge) განაცხადა, რომ კიდევ 1,5-საათიანი ჩანაწერი არსებობს, რომელიც 2010-2012 წლებში საქართველოს ციხეებში მომხდარ პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს ასახავს. მისივე თქმით, ყველა ვიდეომასალა პირადად შს მინისტრ ბაჩო ახალაიასთან მიდიოდა.**



# „ეს კადრები მომაწოდა ირმა ინაშვილმა, რომელსაც შსს მაღალჩინოსნები წარუდგნენ ვანო მერაბიშვილის დავალებით“...

**— გიორგი, უნდა გქონოდათ შეხვედრები ევროპარლამენტში, სადაც ასევე უნდა წარგედგინათ პატიმრების წამების ვიდეომასალა, რომელიც პირადად თქვენი და ჩვენი არხის წყალობით გახდა საჯარო. თუ გქონდათ უკვე შეხვედრები და როგორია რეზონანსი ევროპარლამენტში?**

— ეს შეხვედრები უკვე სამი თვის განმავლობაში მაქვს ევროპარლამენტში, საერთოდ ევროსტრუქტურებში, ევროსაბჭოში, წამების კომიტეტში, ევროკომისიაში... ამ სამი თვის განმავლობაში ეს ვიდეო იხილა ძალიან ბევრმა ევროჩინოვნიკმა, ევროდეპუტატმა, ევროსაბჭოს წარმომადგენელმა, წამების კომისიის წარმომადგენელმა, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და შოკისმომგვრელი რეაქციებია. მეტსაც გეტყვით, როდესაც მე და ბედუკაძე ვიყავით მუჟინექსის კაბინეტში, კაბინეტის უფროსმა, ქალბატონმა ურუმოვამ ამ კადრებს ბოლომდე ვერ უყურა და თქვა, რომ 8 წლის განმავლობაში მუშაობდა წამების კომიტეტში და მსგავსი რამ არ უნახავს. იგი ამბობს, რომ აქამდე აბუ-გრეიბის ფოტოსურათები ჰქონდათ და აქ არის ვიდეო — ეს საშინელებაა. პირველად ქალბატონმა ურუმოვამ უწოდა ამ ყველაფერს ახალი აბუ-გრეიბი.

დღესაც იყო შეხვედრები. მე შევხვდი ბატონ ვისოცკის, ევროდეპუტატ სპაისბერმანს — ევროპარლამენტის ადამიანის უფლებების კომიტეტის წარმომადგენელს, რომელიც კარგად იცნობს საქართველოში არსებულ სიტუაციას და რეაქციები ძალიან მწვავეა... იმის მიუხედავად, რომ ბატონ დიმიტროვს ერთხელ ევროკავშირის სირცხვილიც კი ვუწოდე ქალბატონ ეშტონთან, დღეს მან ძალზე ადეკვატური განცხადება გააკეთა. იგი ვალდებული იყო, ეს განცხადება გაეკეთებინა.

ვიცი, რომ ბატონი შტეფან ფულე ძალიან გამწარებულია ამ ყველაფერზე... ასეთი რეაქციებია, ეკა. რეაქციები კიდევ იქნება, რადგან ორშაბათს მაქვს შეხვედრები წამების კომიტეტში, მუჟინექსის კაბინეტში, ეს შეხვედრები გრძელდება და მანამ გაგრძელდება, სანამ ყველაფერი ისე არ იქნება, როგორც საჭიროა. ერთი რამ უნდა აღვნიშნო — იმ ვიდეოს გამომზეურებას არ ვაპირებდი მანამ, სანამ ბედუკაძის ოჯახი საქართველოში იმყოფებოდა. ამას არავითარი საერთო არ აქვს არც არჩევნებთან, არც ოპოზიციასთან.

**— თქვენი ლაპარაკიდან გავიგე ის, რომ ევროსტრუქტურებში ჩვენზე ადრე ნახეს ეს კადრები, ანუ ისინი უფრო ადრე გაეცნენ ამ ინფორმაციას?**

— დიახ, ჩვენზე ადრე გაეცნენ, — ჩვენზე ადრე ნახეს. ეს აბსოლუტური სიმართლეა. გახსოვთ, გუშინ მე დავურეკე თქვენი არხის დირექტორს, მას შემდეგ, რაც ვნახეთ მთავრობის შემოთავაზებული სისაძაგლე, და ვუთხარი — ეს ასე არ არის, მე მაქვს სულ სხვა ინფორმაცია, სულ სხვა კადრები, რომლებიც სულ სხვა რამეს ცხადყოფს. ზუსტად ასახავს იმას, რომ სწორედ ციხის უფროსობა და მაღალჩინოსნები აწამებენ პატიმრებს, და არა ვიღაც საცოდავი ციხის ზედამხედველი. ალბათ, გახსოვთ, ნათია



გიორგი ფოფხაძე, ირმა ინაშვილი და მერაბ ბლადაძე.
ბრიუსელი. 19 სექტემბერი

ლაზაშვილმა პირდაპირი ეთერით განაცხადა, რომ პირდაპირი ეთერით მოდის კადრები, რომლებსაც ჩვენი კორესპონდენტი გიორგი ფოფხაძე აგორებს ბრიუსელიდან, ანუ მე-9 არხს და საქართველოს წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ რა კადრებს ვინახავდი ამ სამი თვის განმავლობაში.

**— მოდით, კიდევ ერთხელ მოგვიყევით, ეს კადრები თქვენს ხელთ როგორ აღმოჩნდა?**

— როცა ეს კადრები ჩემამდე მოვიდა, ასეთი ტაქტიკა გვქონდა, არ გვეთქვა ყველაფერი. ახლა ვამბობ, რომ ეს კადრები მომაწოდა ქალბატონმა ირმა ინაშვილმა, რომელსაც დაუკავშირდნენ შსს მაღალჩინოსნები და წარუდგნენ, ვანო მერაბიშვილის დავალებით, და მათ გადასცეს ეს ვიდეომასალა. უთხრეს, რომ ადამიანი, ვინც ეს კადრები გადაიღო, უკვე გასულია ბრიუსელში. ეს ხდება მაისის ბოლოს, ან ივნისის დასაწყისში, ზუსტად არ მახსოვს. ირმა ჩამოვიდა და ეს კადრები მომიტანა. აქედან მხოლოდ 10 წუთის გადაღებული ვნახეთ. ჩვენ გვაქვს საათნახევრიანი კასეტა, სადაც გადაღებულია 2010-1012 წლის ვიდეომასალა წამებისა და გაუპატიურების ფაქტებზე.

შემდგომ მე თავად მაღალჩინოსანი დამიკავშირდა. ჩვენ ჟურნალისტები ვართ და მის სახელსა და გვარს მანამ არ დავასახელებთ, სანამ საჭიროება და ჩვენი ტაქტიკა არ მოითხოვს. მან მითხრა, რომ ბატონ ბედუკაძეს შევხვედროდი. ვკითხე — რატომ მე? მან მითხრა, რომ ძალიან ცნობილი ჟურნალისტი ვარ, ვმუშაობ ევროსტრუქტურებში და რადიოფრანსისისთვის. მაშინ მე-9 არხისთვის არ ვმუშაობდი. რა თქმა უნდა, მე ვნახე ბედუკაძე. მან მომიყვა და მანახა კადრები, რამაც ყველა მოლოდინს გადააჭარბა.

ეკა, მე და შენ ერთმანეთს „იბერვიზიიდან“ ვიცნობთ. ომებშიც ერთად ვიყავით. აფხაზეთიც და ოსეთიც ერთად გამოვიარეთ და ვიცით, რაც ხდებოდა. ძალადობაც გვინახავს, სისხლიც და მკვლელობაც, მაგრამ დამიჯერებ — ორი კვირის განმავლობაში დეპრესიაში ვიყავი, რაც ვნახე, იმის გამო. ახლა ჩემი მდგომარეობა წარმოიდგინეთ, სამი თვის განმავლობაში, ყოველ დღე ევროჩინოვნიკებს ამ კადრებს ვუტრიალებდი და კადრ-კადრ ვუხსნიდი, აქ რა იყო წარმოდგენილი. ეს ჩემთვის ძალზე დამთრგუნველი იყო.

**— გიორგი, თქვენ გინდათ თქვათ, რომ ბედუკაძეს საქართველოში კავშირი აქვს მაღალჩინოსნებთან? და მარტო არ მოქმედებს ბრიუსელში? და ვანო მერაბიშვილის ინტერესი იყო ამ კადრების გავრცელება? ასეა?**

— არ ვიცი, ეს კადრები ვისი ინტერესი იყო. ვამბობ იმას, რაც მითხრეს. როგორც ჟურნალისტს, დამაინტერესა ვიდეოზე გადაღებულმა. იმის უკან რა დგას, აღარ არის საინტერესო.

მე რატომ დამაინტერესა — შენც იცი და მეც. 2 წლის განმავლობაში თომას ჰამერბერგი ლაპარაკობდა გლდანის ციხეზე და ამის დამამტკიცებელი საბუთი არ გვქონდა. და ეს ჩვენ მივიღეთ. ეს იყო ჩვენთვის მთავარი ამოსავალი წერტილი. მე ეს ევროსტრუქტურისთვის უნდა მენახებინა, იმ ხალხისთვის მეჩვენებინა, ვისაც ზემოქმედების ბერკეტები აქვს, ვისაც ამ ყველაფრის შეჩერება შეუძლია საქართველოში.

**— რაც შეეხება თავად ბედუკაძეს, როგორ მოხვდა ბრიუსელში და რატომ გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან?**

— არა, ბედუკაძე არ გაუთავისუფლებიათ. როგორც თავად ამბობს, მან დაწერა განცხადება წამოსვლის შესახებ. ბედუკაძე სხვათა შორის, ამბობს, რომ ის მონაწილეობდა ამ წამებაში, მაგრამ ის იყო სისტემის მსხვერპლი და ვალდებული იყო, ეს ეკეთებინა. მან თქვა, რომ მას მისცეს ვიდეოკამერა ციხის დირექტორის დავალებით და მას უნდა გადაეღო ყველაფერი. მან გაუძლო ძალიან დიდი ხანი, ერთ მშვენიერ დღეს მან თქვა, რომ დადგა მომენტი, როცა უკვე აღარ შეეძლო, ამის კეთება უკვე აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ბედუკაძე 3 თვის განმავლობაში ვაცხოვრეთ ჩემ მეგობართან — მერაბ ბლადაძესთან. ერთად ვჭამდით, ერთად ვსვამდით, და ერთად ვიყოფდით ყველაფერს. ახლა ის, რომ ბედუკაძემ მილიონები აიღოო... რა სისულელეა, მერაბის სახლში ცხოვრობდა, ჩვენს კმაყოფაზე იყო.

**— ანუ ამ წამების დროს ბედუკაძე ოპერატორის ფუნქციას ასრულებდა? მას ევალებოდა გადაღება?**

— დიახ, დიახ, დიახ. მას ევალებოდა გადაღება. ბედუკაძე რასაც ამბობს, აბსოლუტურად მჯერა. ბოლო ვიდეოში, რომელიც დაატრიალა შალვა რამიშვილმა, პირდაპირ ჩანს, როცა პრეზიდენტი ცრუობს, რომ ვიღაცები ზეგავლენის ქვეშ პატიმრებს აწამებდნენ. რა სისულელეა. იქ ჩანს ადამიანი თვალნათლივ — ეს არის ციხის უფროსის მოადგილე, რომელიც პირადად სცემს. ამის მერე პრეზიდენტს რა აქვს სალაპარაკო? ბედუკაძე ამბობს, რომ მის მიერ გადაღებული ყველა ვიდეო მიდიოდა ბაჩო ახალაიასთან, დღეს „ფაინენშალ ტაიმსს“ მისცა ბედუკაძემ ინტერვიუ და იქ თქვა, რომ ყველა ეს ვიდეო მიდიოდა ბაჩო ახალაიასთან.

იხ. 4 გვ.

## თვითშამათი

# საბჭოთა ხელისუფლება კლასობრივ მტრად მიმიჩნევდა, მაგრამ ციხეში ხელიც კი არავის დაუკარებია

გლდანის მე-8 საპყრობილეში გადაღებული კადრების ტელევიზიით გავრცელების შემდეგ ქვეყანში განვითარებულ პროცესებზე „ინტერპრესნიუსი" საბჭოთა პერიოდის პოლიტპატიმარს, ავთანდილ **იმნაძეს ესაუბრა.**



**— ბატონო ავთანდილ, გლდანის მე-8 საპყრობილისა და არასრულწლოვანთა კოლონიაში გადაღებულმა პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის კადრებმა საზოგადოება შეძრა. გარდა იმისა, რომ ამ კადრებმა წინასაარჩევნოდ ისედაც პოლარიზებულ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, დისკრედიტებული აღმოჩნდა არა მარტო სასჯელაღსრულების სისტემა, არამედ უდიდესი მორალური ზიანი მიადგა ხელისუფლებას. როგორ შეაფასებდით იმას, რაც ტელევიზიით ვიხილეთ და თქვენი აზრით, სავარაუდოდ რა გავლენას იქონიებს ეს არჩევნებში ჩართულ სახელისუფლებო „ნაცმოძრაობაზე"?**

— რაც ჩვენ ტელევიზიით ვიხილეთ, იყო ის საშინელება, რომელიც ჩვენ ისედაც ვიცოდით. ინფორმაცია მოდიოდა, მაგრამ ვერ წარმოგვედგინა, თუ ასეთი რამ შეიძლება საქართველოში მომხდარიყო. როგორც ხალხი ამბობს — „ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობიაო", სწორედ ეს მოხდა. ხალხის გონებაში მოხდა უდიდესი სტრესი, ამას არც ფაშისტები და არც კომუნისტები აკეთებენ. ასეთი რამ 30-იან წლებშიც არ ხდებოდა. შეიძლება უარესი ხდებოდა — კლავდნენ, მაგრამ, იმას, რასაც უკეთებდნენ ამ ბიჭებსა და ბავშვებს, ადამიანის მოკვლა სჯობს. მართალია, მე მოკვლის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ეს მკვლელობაზე უარესია.

ჩემთვის, როგორც გორბაჩოვის დემოკრატიზაციისა და პერესტროიკის პერიოდში კი არა, 70-იან წლებში 30-ზე მეტ საბჭოთა ციხეებში მოვლილი ადამიანისთვის, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება კლასობრივ მტრად მიიჩნევდა, ხელიც კი არავის დაუკარებია, არა თუ ასეთი სასტიკი მოქცევა, რომლის კადრებიც ვიხილეთ. არ მჯერა იმის, თითქოს პრეზიდენტი მომხდარის გამო შეწუხებულია. სააკაშვილი ტიპური ფარისეველია, იგი კურდღელივით შეშინდა მას შემდეგ, რაც დაინახა, რომ ხალხი თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში გამოვიდა და მის ძალაუფლებას საფრთხე დაემუქრა. პრეზიდენტი სააკაშვილი იმსახურებს ძალიან ბევრ განზოგადებულ ეპითეტებს. იგი ძალიან ჰგავს მოლიერის ტარტიუფს, კაკაბაძის ყვარყვარეს, რომელიც ხელისუფლებაში შემთხვევით მოვიდა და არ იცის, რა გააკეთოს. იგი ასევე იმსახურებს დონჟუანის სახელწოდებას, რის შესახებაც ყველამ იცის.

რაც შეეხება მორალური ზიანის თემას, ხელისუფლებას მორალური ზიანი მიადგა კი არა, სააკაშვილის ხელისუფლება დამთავრდა! ჩემი ეს რწმენა მას შემდეგ კიდევ უფრო გამყარდა, რაც ტელევიზიის წინ მიმდინარე მიტინგზე მივედი და დავინახე ახალგაზრდები. ძალიან მინდოდა ვინმე ძველი ნაცნობის ნახვა მაინც, მაგრამ ვერავინ ვნახე და სიხარულისგან კინაღამ ავტირდი. თუ ახალგაზრდებმა ასე გამოიღვიძეს, სააკაშვლის საქმე დამთავრებულია. ახლა ის დროა, სააკაშვილმა რასაც მოასწრებს შეაკოწიწოს და ქვეყნიდან გაიქცეს. იურიდიულად ამ ხელისუფლების პოლიტიკურ დამარცხებას მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები მოახდენს. არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნები სააკაშვილისა და ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის" გარეშე ჩატარდება.

**— ახლა არავითარი აზრი არ აქვს იმას, თუ ვინ გადაიღო ან ვინ გაავრცელა, ანაც მართლა რომელიმე ძალამ დაუკვეთა თუ არა გადაღება, ვინაიდან იკვეთება, რომ მსჯავრდებულთა დასჯის იმგვარი სისტემა, რომელიც ტელევიზიით ვნახეთ, პრობაციის სისტემაში რეალურად არსებობს. გლდანის მე-8 საპყრობილის ყოფილი თანამშრომლის ვლადიმერ ბედუკაძის მიერ კადრების გავრცელებასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი გამოითქვა. თქვენ რა მოსაზრებები გაქვთ? ბედუკაძემ სარგებლის მიღების გამო გაავრცელა კადრები, თუ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტელეკომპანიებისთვის კადრების გადაცემას თავად სახელისუფლებო გუნდიდან შეუწყო ვინმემ ხელი?**

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ასეთ სიბინძურეებს რომ აკეთებდნენ, როგორც წესი, ხდებოდა ყველაფერ ამის გადაღება. ჯერ ერთი იმისთვის, რომ პირადად სააკაშვილისა და მერაბიშვილისთვის მოეხსენებინათ, მეორეც იმისთვის, რომ დაეშანტაჟებინათ ეს საცოდავი პატიმრები. რაც შეეხება გავრცელებას, შესაძლოა, ბედუკაძე სინდისმა შეაწუხა, ანაც ათასი რამ შეიძლება იფიქროს ადამიანმა. ხელისუფლება ამ ამბით ორი კურდღლის დაჭერას ცდილობს, მაგრამ ესენი არც ერთი კურდღლის დამჭერები აღარ არიან. სრული სიცრუეა, თითქოს ამ კადრების გადაღება პატიმარმა თამაზაშვილმა დაუკვეთა. მაგრამ ეს სიმართლეც რომ იყოს, თამაზაშვილი კი არ უნდა დასაჯო, არამედ უნდა დააჯილდოვო, რომ ეს ამბავი საზოგადოებისთვის საჯარო გახადა. რაც შეეხება იმას, ხომ არ შეუწყო ხელი ვინმემ ამ კადრების ხელისუფლებიდან გავრცელებას, ეს ვერსია ნაკლებად სავარაუდო მგონია, მაგრამ ახლა გამორიცხული არაფერია.

**— პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის რეაქცია მყისიერი და ადეკვატური იყო. ჯერ გათავისუფლდნენ საპყრობილისა და სამინისტროს მაღალჩინოსნები, შემდეგ მინისტრიც საკუთარი თხოვნის საფუძველზე გადადგა. პრეზიდენტის დავალებით ვიდრე საპყრობილეში მომხდარის შესახებ ბოლომდე ყველაფერი არ გაირკვევა, საპყრობილეებში ბადრაგს პოლიცია ჩაანაცვლებს. თქვენი აზრით, შეძლებს თუ არა ხელისუფლება წინასაარჩევნო პერიოდში მმართველი გუნდის შელახული რეპუტაციის აღდგენას?**

— იმის შემდეგ, რაც მე ტელევიზიასთან ზღვა ახალგაზრდა ვნახე, არ მგონია, ეს ახალგაზრდობა გაჩერდეს. ამდენად, შესაძლოა, ხვალ ან ზეგ სააკაშვილს მოუხდეს ბაჩო ახალაიას გათავისუფლება, არ გამოვრიცხავ, რომ მერაბიშვილიც მიაყოლოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სააკაშვილი ახლა თავის გადარჩენაზე ფიქრობს. საქმე ისაა, რომ სააკაშვილმა რაც არ უნდა გააკეთოს, ბოლოს წასვლა მასაც მოუწევს. ამაში მე უკვე ღრმად ვარ დარწმუნებული. ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ აზვირთებული ახალგაზრდობის სახით დიდი ზვავი მოდის, რომლის გაჩერება უკვე შეუძლებელია.

**— უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გიგა ბოკერიამ საპყრობილეებში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ხელისუფლების შეცდომები აღიარა. „ნაცმოძრაობა" ხელისუფლებაში მე-9 წელია, მაგრამ შეცდომა არასოდეს არავის უღიარებია. თქვენი აზრით, რას შეიძლება ნიშნავდეს ხელისუფლების მაღალჩინოსნის მიერ დაშვებულ შეცდომებზე საჯარო განცხადების გაკეთება?**

— საერთოდ, მე მესმოდა ხოლმე, რომ ბოკერია ზოგჯერ წინააღმდეგი იყო ოფიციალური სახელისუფლებო პოზიციის, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობდა. ბოკერიას განცხადება იმის მანიშნებელია, რომ ხელისუფლების შიგნით სერიოზული ბზარებია გაჩენილი.

**— „ქართული ოცნების" ლიდერმა ივანიშვილმა ქუჩაში გამოსულ და აქციებში მონაწილე ხალხს მოუწოდა — „არ იჩქაროთ, არჩევნები კარზეა მომდგარი და ძალადობაზე არ წახვიდეთ... ექსცესები არ მოხდეს. ესენი ქუჩის პროფესიონალი მოჩხუბრები არიან". კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერს არა ერთხელ უთქვამს, რომ ქვეყანა არჩევნებამდე მშვიდობიანად უნდა მივიდეს. თქვენი აზრით, შეძლებს ივანიშვილი აბობოქრებული და აზვირთებული ხალხის არჩევნებამდე შეჩერებას?**

— ივანიშვილი ვალდებულია, თქვას ის, რაც თქვა, რომ სიტუაცია მართლაც არ დაიძაბოს უკიდურესად. მან თავიდანვე თქვა, რომ ქუჩის აქციების წინააღმდეგია. რასაც მე ვხედავ, მშვიდობიანი საპროტესტო აქციებია. არც მიკროფონი აქვთ, არც არავინ გამოდის. ხალხი ხელისუფლების ქმედებების მიმართ თავის პროტესტს მშვიდობიანად აფიქსირებს. ახლა ამ ახალგაზრდებს რომ ვინმემ რამე დაუშავოს, მერე ძნელია იმის პროგნოზირება, თუ რა მოხდება ქალაქში. ამათი საქმე დასრულებულია. ახლა ამ ახალგაზრდებს რომ ერთი თმის ღერი ჩამოუვარდეს, ხელისუფლებას გასაქცევად ექნება საქმე. რა შეკითხვაც არ უნდა დამისვათ, მე გიპასუხებთ — სააკაშვილის რეჟიმი დამთავრდა. დანარჩენი ტექნიკის საქმეა, თუ რანაირად მოხდება ეს. ესენი გაიქცევიან თუ არ გაიქცევიან, თუ ერთმანეთს დაერევიან, ეს მთავარი არაა. როგორადაც არ უნდა იყოს, მე გეუბნებით — არჩევნები სააკაშვილისა და მერაბიშვილის და ე.წ. „ნაცმოძრაობის" გარეშე ჩატარდება. ჩემი აზრით, ისინი გაიქცევიან.

**— სამართალდამცავებმა საზღვრის გადაკვეთისას ვინმე დათა აკობია დააკავეს, რომელსაც გადაღებული კადრების გავრცელება ბრალდება. აკობიამ კადრების გავრცელებით პრაქტიკულად დანაშაულის ჩამდენები ამხილა და ამდენად, მისი დაკავება გაუგებარია. ბევრი იმასაც ამტკიცებს, რომ დაკავებულ აკობიას იმას ათქმევინებენ, თითქოს მას მაკომპრომეტირებელი მასალის გადაღება „ქართულმა ოცნებამ" დაუკვეთა. თუ პროცესები ამ სცენარით განვითარდა, თქვენ რას პროგნოზირებთ?**

— შეიძლება ასეც მოხდეს. უკვე ერთს ათქმევინეს, ხვალ მეორესაც შეიძლება ათქმევინონ. აკობიას ათქმევინებენ იმას, რაც მაგათი ჭკუით, მათ გადაარჩენს. ესენი ისე იქცევიან, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია — წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ყველაფერი შესაძლებელია მოხდეს, მაგრამ ამ ხელისუფლებას ვერაფერი უშველის, მათი საქმე დამთავრებულია. ხალხის ზვავი მოდის და თუ სააკაშვილსა და მერაბიშვილს ოდნავ დარჩათ ჭკუა, ამ ზვავს თუ არ გაეცალნენ, ეს ზვავი მათ აუცილებლად წალეკავს. სწორედ ამიტომ, ვფიქრობ, რომ 1 ოქტომბრის არჩევნები შეიძლება „ნაცმოძრაობის" გარეშე ჩატარდეს.

**კობა ბენდელიანი**

## დიდი ამბავი

# „ეს კადრები მომაწოდა ირმა ინაშვილმა, რომელსაც შსს მაღალჩინოსნები წარუდგნენ ვანო მერაბიშვილის დავალებით"...

(მესამე გვერდიდან)

ციხის უფროსი ამ ვიდეოებს იღებდა და ანახვებდა — აი, ნახეთ, როგორ კარგად ვმუშაობთო.

**— ეს დავალება თვითონ ბაჩო ახალაიასგან მიდიოდა, რომ ასე უნდა მოქცეოდნენ პატიმრებს და ასე გაეტეხათ ისინი ფსიქოლოგიურად?**

— დიახ, დიახ, ბედუკაძე პირდაპირ ხელს ადებს ბაჩო ახალაიას. და ის ამბობს, რომ 2005 წლიდან მოყოლებული ვიდრე დღემდე ბაჩო ახალაიას კლანი მართავს ციხეებს.

**— წელან დაიწყეთ ამაზე ლაპარაკი და ახლა დავკონკრეტდეთ. რატომ გავრცელდა ვიდეო ახლა, რადგან ძალიან ბევრი ამას სწორედ არჩევნების წინა პერიოდის კონტექსტში განიხილავს.**

— ეს არის აბსოლუტურად მტკნარი სიცრუე. მე ორი ინფორმაცია მაქვს. ერთი — ეს გავიდა ჩვენი შიდა წრიდან, გაჟონა და მთავრობის ყურამდე მივიდა. მე აღარ ვლაპარაკობ ჩვენ ოთხ ადამიანზე, ვინც ამ საკითხზე ვმუშაობდით. ვიღაცებმა ეს ყველაფერი იცოდნენ და მეორე მომენტი — ერთ-ერთმა ევროდეპუტატმა მითხრა, რომ დაიბარა საქართველოს ელჩი ევროსტრუქტურებში და ანახა ეს ვიდეო. მე ევროდეპუტატს დავუტოვე ეს ვიდეო. ჩვენს შორის ასეთი საუბარი შედგა — ამ ქალბატონს არ დავასახელებ, იგი არის ფრანგი მწვანეების წარმომადგენელი, დაიბარა საქართველოს ელჩი და უთხრა — ეს ხდება საქართველოს ციხეებშიო. ჩვენი მთავრობა ხომ იცით, როგორ შეიცხადებს, როგორ გეკადრებათ, ჩვენთან კარგად არის ყველაფერიო: იმ კომისიამ დაამტკიცა, ამ კომისიამ დაამტკიცა, გათვლებით ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა ვართო, და ამ ქალბატონმა ამოიღო და ვიდეო დაუდო და უთხრა — ეს რა არის, ამაზე პასუხი გამეცითო. ელჩი გამოვიდა, დარეკა მიშა სააკაშვილთან, მოაწყვეს ის სპექტაკლი, რა სპექტაკლიც მოეწყო გუშინ და მე იძულებული ვიყავი, ეს კონტრშეტევა გამეკეთებინა: მე გუშინ თქვენი არხის დირექტორს დავურეკე. თავად თქვენ ხომ საქმის კურსში არ იყავით? მე დავრეკე.

**— ნამდვილად არ ვიყავით საქმის კურსში. პირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელდა ოფიციალურად ერთ-ერთი შედარებით რბილად წოდებული ვიდეო. გიორგი, არ ფიქრობთ, რომ ქართული საზოგადოება იყო ღირსი, რომ უფრო ადრე სცოდნოდა ამ ვიდეოების შესახებ? რატომ არ გავრცელდა ისინი უფრო ადრე?**

— ერთადერთი რამის გამო, ეკა. დღემდე ვერ მომინელებია, რომ ეს ვიდეო გავუშვი. ამით ბედუკაძის ოჯახი დავაყენე დიდი დარტყმის ქვეშ. ბედუკაძის ოჯახი დღეს მძევალია. შეგიძლიათ დაურეკოთ ადამიანის უფლებათა ევროკომისარიატში ქალბატონ მარტიროსიანს და ქალბატონ ურუმოვას, და სტრასბურგში დარეკოთ წამების კომიტეტში და ჰკითხოთ, რა გითხრათ გიორგი ფოფხაძემ? მანამ, სანამ ბედუკაძის ოჯახი საქართველოდან არ გამოვიდოდა, ვიდეო არ უნდა გასულიყო. ამ ყველაფერს ეს ადამიანები დაგიდასტურებენ. ძალიან მაღალი დონის ჩინოსნებზე ვლაპარაკობ. მე ამიტომ არ ვახმაურებდი ამ ვიდეოს, მცირეწლოვანი ბავშვები ჰყავს ბედუკაძეს და არაადამიანი უნდა ვყოფილიყავი, რომ ეს გამეკეთებინა, ხომ? ეს შეიძლებოდა ჩვენ დეკემბერში გაგვეკეთებინა, თუ ოჯახი გამოვიდოდა ივნისში, ან აგვისტოში... მაგრამ ჩვენ წამოგვაგეს, იძულებულნი გაგვხადეს, რომ ამ ნაბიჯზე წავსულიყავით.

მოამზადა

**თამარ შაიშმელაშვილმა**

# რა უნდა ვილონოთ 1 ოქტომბრისთვის



**ამომრჩეველთა სარწმუნო სიები არც ამჯერად, 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, საქართველოში „დემოკრატიის" გამარჯვებიდან ცხრა წლის შემდეგ გაგვაჩნია. კაციტაძის კომისიის მიერ დაზუსტებული კი — ემიგრანტების და საქართველოში დარჩენილების ერთმანეთისგან გაუმიჯნავი, მკვდარი სულებით და მიწერილი ხალხით გაძეძგილი, მხოლოდ ხელისუფლებას და მასთან„დაპირისპირებულ" „ქრისტიან-დემოკრატებს" და „მემარჯვენეებს" აკმაყოფილებს.**

სიებით გამოწვეულ პრობლემას აღრმავებს ამომრჩეველთა ხმების სხვადასხვა მეთოდით გაყალბება, რომელთაგან ყველაზე ცნობილია ე.წ. „სომხური კარუსელი". დარწმუნებული ვარ, მაჭავარიან-გოგორიშვილები პოპულარობაში პირველობას არ დაუთმობენ სომხებს და წმინდა „ქართული კარუსელებით" და „ეშმაკის ბორბლებითაც" გაგვაოცებენ!

მართალია, ყველანაირ „კარუსელს" ეძებნება „ანტი-კარუსელი", და მასზე აქტიურად მუშაობს „ქართული ოცნება", მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ გადამწყვეტი მაინც ხმების დათვლაა, ნაცმოძრაობასთან გამკლავება ძალიან გაჭირდება. ვგულისხმობ იმ დიდ უპირატესობას, რაც ნაცმოძრაობას აქვს საარჩევნო კომისიებში, სადაც მათ წევრებს სატელიტი ოპოზიციური პარტიების წევრები და ე.წ. „დამოუკიდებელი" წევრების ქვოტით კომისიებში შეყვანილი სკოლის მანდატურები, ნაცმოძრაობის აქტივისტი-მასწავლებლები, შაშკინნოდია-ლომაიას შერჩეული სკოლის დირექტორები და სხვა, მსგავსი კატეგორიის ხალხი ემატება.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კაციტაძის კომისიის მიხედვით საქართველოდან გასულია მხოლოდ 310 000 (!) ამომრჩეველი, ხოლო დანარჩენი ემიგრანტები (სავარაუდოდ, 700-800 ათასი!) შეტანილია საერთო სიაში, ძნელი მისახვედრი არ არის ის, რომ გამყალბებლების მთავარი აქცენტი სწორედ ამ კონტინგენტზე გაკეთდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ **რუსეთში, სადაც ერთ მილიონამდე(!) საქართველოს მოქალაქე ცხოვრობს, საარჩევნო უბნები საერთოდ არ იხსნება, არც ერთი! კანადაში კი უბნის გაუხსნელობას ხელისუფლება იქ საქართველოს მოქალაქეთა სიმცირით ხსნის** — „სულ 300—400 ადამიანი თუ ცხოვრობსო" (სინამდვილეში, რამდენიმე ათასია), მაშინ როცა,კანონით, მხოლოდ 20(!) ამომრჩევლის დარეგისტრირების შემთხვევაშიც კი უნდა გაიხსნას საარჩევნო უბანი. ალოგიკურობას და კანონის (თანაც, არა მარტო ამ კანონის!) დარღვევას, სამწუხაროდ, არც „ობიექტური" უცხოელი დამკვირვებლები და დიპლომატიური მისიები („მეგობარი" ქვეყნებიდან, ცხადია!) ეხმაურებიან.

ოპოზიციის მოთხოვნა იყო — ქვეყნიდან გასული ყოველი(!) ამომრჩევლის გვარის გასწვრივ გაკეთებულიყო სათანადო აღნიშვნა განურჩევლად იმისა, გასვლა წერილობითაა დადასტურებული, თუ ოჯახის წევრების ან მეზობლების სიტყვიერი განცხადებით, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ხარატიშვილ-კაციტაძის კომისია ამ მოთხოვნას არ შეასრულებს და მხოლოდ 310 000 ემიგრანტით (წერილობით დადასტურებულით) შემოიფარგლება.

**უცხოეთში გასულების გარდა ხელისუფლება დიდ იმედებს უეჭველად ამყარებს არჩევნებზე არმისულ კონტინგენტზე.** რაც არ უნდა მაღალი იყოს აქტივობა არჩევნებზე, მაინც ყოველთვის რჩება 15-20 %(!) ისეთი კატეგორია ხალხისა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით თუ მოსაზრებით არ მიდის არჩევნებზე, საარჩევნო კომისიას კი შეუძლია ისევე, როგორც ეს მან გააკეთა 2008-ში, ზოგ რეგიონებში 100 %-იანი(!)აქტივობა დააფიქსიროს, მე თქვენ გეტყვით და ხელი აუკანკალდებათ, ან შუბლის ძარღვი შეუტოკდებათ.

რაც შეეხება მკვდარი სულების და სხვადასხვა ადგილას მიწერილი გაურკვეველი წარმომავლობის ამომრჩევლების რაოდენობას, მიუხედავად მათი საკმაო ოდენობით გამოვლენისა, იგი, ზემოთ ნახსენებ ორ კონტინგენტთან შედარებით მცირეა და არსებით გავლენას არჩევნებზე ვერ მოახდენს.

გამომდინარე იქიდან, რომ ყოველგვარი ჩასწორება-გასწორებები, არჩევნების დღის შეცვლა ემიგრანტებისთვის და საარჩევნო კომისიების მართლაც პარიტეტულ საწყისებზე შედგენა უკვე დაგვიანებულია (დროც რომ იყოს, მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მაინც ვერაფერს გავხდებოდით ამ ხელისუფლებასთან, გამორიცხულია!), ამიტომ „ანტიკარუსელების" ზომებთან ერთად აუცილებელია კიდევ ერთი, ადვილად შესასრულებელი ნაბიჯის განხორციელება, მას არც ხარჯები სჭირდება და არც — დიდი დრო.

არჩევნების გაყალბების და ხელისუფლების ხრიკების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მოვითხოვოთ მისგან და საერთაშორისო დამკვირვებლებისგან შემდეგი რამ:

**არჩევნებამდე** — ანბანური პრინციპით შედგენილ სიასთან ერთად გამოქვეყნდეს (დაიდოს ინტერნეტზე) იგივე **სია მისამართებისდა მიხედვით** (პირადობის მოწმობის ნომრის მიუთითებლად), რათა ნებისმიერმა მსურველმა ადვილად(!) შეძლოს როგორც საკუთარი თავის, ისე მეზობლების, სიაში და საქართველოშიც ყოფნა-არყოფნის გადამოწმება; ასევე, — როგორც მის მისამართზე, ისე არარსებულ(!) მისამართებზე მიწერილების გამოვლენა (კომპიუტერული მარტივი პროგრამით ამომრჩეველთა ამგვარი დაჯგუფება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს;

**არჩევნების შემდეგ** – 2-3 დღეში (საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე!) ისევ დაიდოს **იგივე სია** (მისამართების პრინციპზე დამყარებული) თითოეული **ამომრჩევლის გვარის გასწვრივ (ცალკე** გრაფაში) გაკეთებული **სიტყვიერი(!) აღნიშვნით — გამოცხადდა ეს პიროვნება საარჩევნო უბანზე თუ არა,** მაგ., **გამოცხადდა** მწვანე ფერში, და **არა** წითლად (მხოლოდ+ან — ნიშნებით აღნიშვნა გაცილებით მეტი შეცდომის დაშვების წყაროა და თაღლითობის შემთხვევაში კი — თავის მართლების, აქაოდა, მექანიკური შეცდომა მოგვივიდაო). ამით ამომრჩეველი შეძლებს (რაც უმთავრესია!) იმის გადამოწმებას, თუ რომელ კატეგორიაში — არჩევნებში მონაწილეების თუ უბნებზე არგამოცხადებულების კატეგორიაში მოხვდა პირადად იგი (მის მიერ გამოვლენილი მიწერილი თუ ქვეყნიდან გასული პირი). ამ წინადადების განხორციელება აზრს დაუკარგავს კაციტაძის ვირეშმაკობას — მნიშვნელობა აღარ ექნება 3.6 მილიონამომრჩეველს დაითვლიან „კარდაკარ" თუ — 5 მილიონს!

ცალკე უნდა გამოიყოს **უცხოეთში ჩატარებული არჩევნების შედეგები** სახელმწიფოების და გვარების მითითებით (ანალოგიური პრინციპით — დარეგისტრირებულთა და არჩევნებზე გამოცხადებულების აღნიშვნით;

ნებისმიერი სიის ბოლოში, ცხადია, მითითებული უნდა იყოს ყოველ **უბანზე დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილეთა რიცხობრივი რაოდენობა, პროცენტული მაჩვენებელი.**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოო(!) შედეგების გამოცხადებამდე ყველა, ვისაც კომპიუტერი აქვს, უსწრაფესად მოახერხებს გადამოწმებას და დამკვირვებლების ყურადღებიდან გაპარული „კარუსელების"გამოაშკარავებას.

დამკვირვებლების (ჩამოსული თუ ოპოზიციის) მიერ გადაღებული ფოტო-ვიდეოთი დაფიქსირებულ კადრებს,თუ რამდენი ამომრჩეველი შევიდა უბანზე და რამდენი ბიულეტენი ამოვიდა დღის ბოლოს ურნიდან, უეჭველად დიდზე დიდი მნიშვნელობა აქვს,მაგრამ მაინც სულ სხვაა ცოცხალი მოწმე, ამ მოწმის მიერ აღმოჩენილი გაყალბება და ატეხილი სკანდალი ევროპა-ამერიკასა თუ საქართველოში. ამავე დროს, არა მგონია უცხოელმა დამკვირვებლებმა უწყვეტი 12-საათიანი დაკვირვება-გადაღება აწარმოონ ყველა, 3 600-ზე მეტ საარჩევნო უბანზე; ოპოზიციის მიერ გადაღებული მასალა კი, ადვილი შესაძლებელია, ცენტრალურმა კომისიამ არ მიიჩნიოს ყურადსაღებად და,როგორც ადრე იყო, სიმართლის დასადგენად სასამართლოში გადაამისამართოს. **გავიხსენოთ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები, როდესაც ნაირ-ნაირი შარის მოდებით არ მოხერხდა 1 200 უბანზე დამონტაჟებული (ხელისუფლების მიერ!) ვიდეო-თვალიდან არც ერთი ჩანაწერის ნახვა; რის ვაივაგლახით მხოლოდ ერთი(!) პროცენტის — 12 ვიდეოჩანაწერის შემოწმება მოახერხა სუბარმა რამდენიმე თვის(!) შემდეგ, და მიუხედავად გამოვლენილი გაუგონარი გაყალბებებისა, ყურიც არ გაუპარტყუნებიათ დასავლეთში (ჩვენზე აღარაა საუბარი)!**

ამიტომ, განსაკუთრებული ძალა მიენიჭება ხელისუფლების მიერ საკუთარი ხელით დადებულ სიებში თავად ამომრჩევლების მიერ აღმოჩენილ და ამ სიებითვე დადასტურებულ გაყალბების შემთხვევებს (სავარაუდოდ, ასეულ ათასობით, თუ ზომები არ იქნა მიღებული!), რასაც სასამართლოში დასაბუთება უკვე აღარ დასჭირდება. **და თუ,ამ შემთხვევაშიც, კიდევ ერთხელ დახუჭავს თავის დემოკრატიულ თვალებს სანაქებო დასავლეთი (აბა, საქართველოს ხელისუფლება რომ დაიბრმავებს თვალებს, ეჭვი არავის არ ეპარება), მაშინ ცხადი გახდება ყველაფერი იმათთვისაც კი, ვინც გაყიდული თუ დაკარგული მამულის (აფხაზეთ-სამაჩაბლოსი, ჯერჯერობით!), შებღალული რწმენის (მართლმადიდებლობის სექტებთან გაიგივებით) და ქართული ენის უკანა პლანზე ჩაჩოჩების (ინგლისურის საპატივსაცემოდ!) მიუხედავად, დღემდე დასავლეთს მისჩერებია პირდაბჩენილი!**

იაკობ ლეჟავა

**P. S. ერთი წინადადებაც, არჩევნებთან ირიბად დაკავშირებული — „ქართული ოცნების" 29 სექტემბრის აქციის ირგვლივ. მიტინგზე მისვლა, მიუხედავად დიდი სურვილისა, ბევრისთვის ფიზიკურად არც ისე ადვილია — მანძილის, ასაკის, უსახსრობის თუ ოჯახური მოუცლელობის გამო; საჯარო სამსახურებში მყოფთაგან საკმაო ნაწილი, სამსახურიდან დათხოვნით დაშინებული, ერიდება ოპოზიციის მიტინგებზე გამოჩენას, თუმცა სულით და გულით უთანაგრძნობს მას (ნუ დავძრახავთ ყველას ხელაღებით!). ამ ხალხს, საერთო ჯამში, გაცილებით მეტს მიტინგებზე მიმსვლელებთან შედარებით, უშიშრად(!)და ძალზე ადვილად შეუძლია თავისი პოზიციის გამოხატვა შემდეგნაირად — მიტინგის ჩატარების საათებში თავიანთი საცხოვრებელი სახლების წინ (ან, სადაც იმყოფებიან იმ მომენტში) ქუჩაში გამოსვლით, თუნდაც, მხოლოდ ეზოებში ჩასვლით დაახლოებით 15-20 წუთით (ყოველგვარი მსვლელობის და სიტყვებით გამოსვლის გარეშე!).ამას წინ არაფერი უდგას, ვერც ვერავინ აკრძალავს და შარსაც ვერავინ მოსდებს, ვერც კორპუსის ფასიანი ინფორმატორ-კოორდინატორი (რუსულად — „სტუკაჩი") გაუბედავს ვერავის თქმას — ქუჩაში რატომ დგეხარო. გაბედავს და საკადრის პასუხსაც მიიღებს მეზობლებისგან, თანაც ეს კოორდინატორები, ყველანი, ხომ მიტინგზე იქნებიან მობილიზებულნი იქ დამსწრე მეზობლებზე ინფორმაციის შესაგროვებლად!ზედმეტია იმის თქმა, რომ ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გადაიღოს ფოტო- და ვიდეოკამერებით.**

**ჩემს ამ წინადადებას თბილისის 1.5 მილიონი მოსახლეობიდან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ წაიკითხავს, მაგრამ იმედი მაქვს, „ქართული ოცნების" პრეს-სამსახური მაინც გაეცნობა მას და ხალხის თანადგომის მაქსიმალურად გამოსავლენად სათანადო მიმართვა-თხოვნასაც გაავრცელებს ტელევიზიით.**

**ი. ლ.**

## ინფორმაცია

## „წარმოუდგენელია, როგორ აპირებს ტუღუში იმ ხალხთან თანამშრომლობას, რომელიც ყურს არ იბერტყავდა მის ანგარიშებზე"

**თუ გიორგი ტუღუშს აქვს უნარი, ითანამშრომლოს ამ სადისტების გუნდთან, მაშინ მართლები ყოფილან ისინი, ვინც მას აქამდე უმოქმედობისთვის აკრიტიკებდა , — ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა განუცხადა. „როგორ აპირებს თანამშრომლობას იმ ხალხთან, რომელიც 3-4 წელი ყურს არ იბერტყავდა მის ანგარიშებზე. რატომ ჰგონია, რომ ახლა გაითვალისწინებენ მის აზრს ან ვინმე რამეს კითხავს სისტემაზე, სადაც სპეცრაზმია პატიმრებთან შეშვებული. ეს სრულიად წარმოუდგენელია", — აღნიშნა ცისკარიშვილმა.**

**მისივე თქმით, პრეზიდენტისგან ნიჭის გაელვებაა, როცა ასეთ კადრს იბირებს, „თუმცა გაკვირვებული ვარ წარდგენისას ტუღუშის პრეზიდენტის გვერდით ყოფნით, რადგან გავრცელებული იფორმაციით, გასული დღეების განმავლობაში სახალხო დამცველი ავადმყოფობის გამო შეუძლოდ იმყოფებოდა და მედიასთან არ ჩნდებოდა", — აღნიშნა ციკსარიშვილმა. სასჯელაღსრულების მინისტრად გიორგი ტუღუში გუშინ დაინიშნა.**

№181. პარასკევი, 21 სექტემბერი, 2012 წელი.

ფიქრები ხმამაღლა

# კარგად მოვიმკიდით, სეტყვა რომ არაო!..



ყოველ ახალ დღეს ახალი ამბავი მოაქვს, ახალი, მაგრამ მძიმე, დამთრგუნველი, შემაშფოთებელი, დასაფიქრებელი, ტვინსაჭყლეტი... რა ხდება, რით ვერ წყნარდება ქართველი ხალხის ცხოვრება. სამაგოდ მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობებით აშლილ-გალიზიანებული ხალხი პოლიტიკამ კიდევ უფრო მეტად ააფორიაქა. რამ განაპირობა ხალხის ჩათრევა პოლიტიკურ ორომტრიალში, რატომ გაიხლიჩა საქართველო, რატომ გაჩნდა ორი ბანაკი, რატომ წარმოიშვა ორი რადიკალურად განსხვავებული აზროვნება, ერთმანეთთან დაპირისპირებული, ერთმანეთის მსჯელობითა და ლოგიკით (უფრო სწორად - ალოგიკურობით) გაკვირვებული საზოგადოების ორი ნაწილი, ორი სფერო, სადაც ერთი ნაწილისთვის შავი შავია, მეორისთვის კი თეთრად აღსაქმელი. ვიღაც შეიძლება არსებობდნენ ასეთი ადამიანები. რაც არ უნდა ბრწყინავდეს თეთრი, მაინც შავიაო, გაიძახიან და პირიქით. ყველაფერი ისე აირია, რომ მერე ეჭვიც გეპარება, ეს საგანი ნეტავ მართლა შავია? იქნებ თეთრია! ვინ გვეტყვის და ვინ გაგვცემს პასუხს. ან და, იქნებ კი გვითხრას, მაგრამ დაიჯერება კი? აი, სწორედ დამაჯერებელ ფაქტებზე საუბარი გახდა საჭირბოროტო და საჭოჭმანო. დარღვეულია აზროვნების ლოგიკური სტილი. ახლა ყველგან, ყოველ ფეხის ნაბიჯზე კეთილ საქმეებში ბოროტებას ჭვრეტენ და ბოროტებაში – სიკეთეს. სულ სხვა დრო დადგა. ნიღბიანებით გაივსო ქვეყანა. კარგად შეფუთულები დადიან, ვერ ხვდები რომელია ყალბი სახე და რომელი ნამდვილი. მათი გამოცნობის სურვილი გეკარგება. არა, იქნებ ნიღაბი სულაც არ არის და ეს არის ის, რაც არის. რაც შექმნა დღევანდელმა ქართულმა სინამდვილემ.

და რა არის ეს ქართული „სინამდვილე"? შიშმა ხომ არ შექმნა იგი. ან ეს შიში რამ შექმნა. რამ გააორა ჩვენი სამყარო. ზოგჯერ სისხლიც ფარავს ქართულ მიწას და გაიძახიან არ არის ეს სისხლიო. სისხლი სისხლი არის და არც ხორცია ხორცი. ან რად უნდა გვიკვირდეს ეს რომ ასეა, ადამიანიც ხომ არაფერია. მთავარია სიტყვაო და სიტყვები ხომ იცოცხლე, მართლაც ბევრია. მაგრამ ამდაგვარად მოაზროვნეებს მთავარი დავიწყნიათ: სიტყვა, ადამიანის გარეშე, არ არის სიტყვა და არც არაფერია! დიახ, დიახ. მთავარი ადამიანია და ადამიანობა. დღეს კი პირველს ხაზი აქვს გადასმული, მეორე კი, საერთოდ, არ არსებობსო. ასე ამბობენ ორ ბანაკს შორის მდგომნი, ისინი ვინც არა მარტო შორიდან, ახლოდანაც აკვირდებიან მოვლენებს და არ კარგავენ იმის შეგრძნებას, რომ ეს ქვეყანა, ეს საქართველო ორივე ბანაკის სამშობლოა, შავისა და თეთრის წაღმაუკუღმა დამნახველისიც და იმ დაუნახავებისიც, რომელთაც ხალხი და ხალხის ხმა უგულებელყვეს და ყველაფერს მხოლოდ საკუთარი ეგოს მოცემულობით წონიან, ზომავენ და ჭრიან კიდეც. თითქოს არ იციან, რომ სამშობლო ხალხის გარეშე ცარიელი სივრცეა, ულიმღამო, ნისლჩაწოლილი, უსახური, უხმო და უმოძრაო სივრცე. სივრცე, რომელშიც არც ტყე-ველი ისახება და არც მთა-გორები. არც არაფერი ჩანს, რადგანაც არც არაფერი დევს. და რაც მთავარია, არ ჩანს თავად ადამიანი!

უცნაური რამ არის თავთან მსჯელობა, სად წაგიყვანს და სად არ გაგიყვანს. მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩავხედე მოვლენებს, შეიძლება ისიც ვიფიქრო, მთლად ასეც რომ არ არის. ახლა საქართველოში ისეთი დროება მოვიდა, ხალხის უგულებელმყოფი პოლიტიკოსები თავად სათავეშიც კი მოგვევლინნენ, მაგრამ ამავე დროს, სწორედ ესენი არიან, სიტყვა-პასუხში ცნება „ხალხს" ხშირად რომ იშველიებენ და ახსენებენ. მათი სახელითაც საუბრობენ. ცხადია, და ჩვენც ვხედავთ, რომ მათთანაც დგანან ადამიანები, მაგრამ არა ხალხი ( მათ ეს იციან!ძ ხალხი სულ სხვა რამეა. ხალხია ძალა და არა მარტო ძალა, არამედ სულიერების სათავე და დასაბამი. ხალხია ქვეყნის ფუნდამენტი, ურომლისოდაც ფუჭია ყოველგვარი ძალაუფლება. ამიტომ არის ერთი ბანაკიც და მეორეც (და სხვებიცძ, „ხალხიო" გაიძახიან. ცდილობენ, მართლაც დაიყოლიონ ხალხი გვერდით, მაგრამ ერთ რამეში ცდებიან: ხალხს მხოლოდ მაშინ ამოიყვანებ გვერდით, როცა შეძლებ და თავად დაუდგები მას, თავად მიხვალ მასთან. ოღონდ მიხვალ გულწრფელი, მართალი, ერთგული და ძლიერი. როცა შეძლებ და შენც მათთან ერთად გაიზიარებ იმ ჭირ-ვარამსა და ლხინს, შრომასა და სირთულეებს, რომლითაც სავსეა ხალხური, ადამიანური ცხოვრება!.. სირთულეები სხვა მხრივაც ელის ხალხთან მიმსვლელს და მისი ნდობის მომპოვებელს. ხალხი ხომ ურთულესი ფენომენია! მასში ანატომიურ და გენეტიკურ ნიუანსებთან ერთად განზავებულია ყოფიერების უთვალავი სპექტრი.

ურთულესი რამ არის ხალხთან მისვლა და მასთან დადგომა, კიდევ უფრო რთულია მის პატრონად თავის წარმოჩენა. ცხოვრების რა დიდი გზა, ჭირ-ვარამი და სიძნელეები უნდა გქონდეს გავლილი, რამოდენა გამოცდილება, ცოდნა და განათლება მიღებული, ხალხთან მისასვლელად რომ გამზადდე... გავიხსენოთ სულხან-საბას ოსტატი ლეონი და უფლისწული ჯუმბერი. დღეს რას ვხედავთ საქართველოში? ხალხის ბედ-იღბალზე და ხალხის ცხოვრებაზე ცუდად მოთამაშენი, ლეონის შეგონებისა და აღზრდის წეს-მეთოდებისაგან ძალიან შორს მდგომნი, უკვე კარგა ხანია, რაც სათავეში ჩასდგომიან ქვეყანას და კვლავაც და კვლავაც სურთ თავიანთებური თამაშით მართონ ქვეყნისა და ხალხის ბედი ისე, როგორც მათ ესმით და გაეგებათ. ეს სურვილი ხალხის ნებით უნდათ განახორციელონ, სწორედ იმ ხალხის ნებით, რომელიც დაამცირეს, მიწასთან გაასწორეს ძალიან ბევრი თავიანთებური უკანონო კანონით და კანონიერი უკანონობით. პირველი და მთავარი ქმედება, რამაც ხალხი დაამცირა, იყო, იმ გამოუცდელი, ცხოვრების გზაგაუვლელი, ხალხის ჭირ-ვარამის არმცოდნე ახალგაზრდების სამინისტროებში შემოკრება, უაღრესად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნა უზარმაზარი ხელფასებით, რითაც ერთი მხრივ დაჩაგრეს გამოცდილი და საქმის მცოდნე, პრაქტიკოსი მუშაკები, რომლებიც საერთოდ უფუნქციოდ დატოვეს, მეორე მხრივ, თანამდებობებზე დანიშნული ყმაწვილკაცობა თავის მხარეზე კი განაწყვეტს, მაგრამ, რაც მთავარია, სული და გული ამოაცალეს, ხალხთან მისასვლელი გზა გადაუკეტეს. ისინი არიან სწორედ, შეუფერებელი, დაუმსახურებელი შემოსავლებით განებივრებულები, დღეს რომ ხალხისთვის გაუგებარ ენაზე ჭიკჭიკებენ და საპასუხოდ, ძალიან მსუბუქად რომ ვთქვათ, ხალხის ირონია და უნდობლობა კი დაიმსახურეს. მაგრამ ისე დაბრმავდნენ, ვერანაირ უსწორ-მასწორობას ვერ ამჩნევენ და თავიანთი ლობისტების მოტივებზე აწყობილნი იმას მღერიან, რასაც ზემდგომნი დაუკვეთენ. აბა მითხარით, სად უმუშევრობა, ნულოვანი შემოსავალი, ან თუნდაც პენსიონერთა ერთი წლის ბიუჯეტი – 1200 ლარი და სად იმათი, „იქეთურთა", შემოსავალი, რომელიც მარტო ხელფასის სახით ორმოც ათასსაც რომ აჭარბებს ზოგჯერ, პრემიებზე რომ არაფერი ვთქვათ რა! არა, თავიდანვე მოახერხეს და გაირიყნენ... აი, ასე ( და არა მარტო ასე!ძ გაჩნდა აქეთა და იქეთა მხარე.

ახლა კაპიტალიზმიაო, – იტყვის ბევრი. მიდი, იშრომე, მოიპოვე, შექმენი... და გექნებაო... შრომასა და მცდელობას არ აკლებენ, მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოში უმეტესთათვის (არცთუ უჭკუოთა და უნიჭოთათვის!ძ შეუძლებელი გახდაო ბიზნესის წამოწყება. ასე ამბობენ ეკონომისტ-ფინანსისტები, ამ საქმის მცოდნენი და გვაუწყებენ, რომ ბიზნესის წამოწყებაც მხოლოდ ხელისუფლების ხელდასმულთა პატივიაო.

მაინც გადავუხვიე, სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში შევედი. არ მინდოდა კი! ხალხზე ვსაუბრობ, ვმსჯელობ, ჩემს წარმოდგენასა და შეხედულებებს ვაყალიბებ და იმაზედაც ვფიქრობ, თუ რა ადვილი შესაძლებელია პირუკუ წარმოადგინო ხალხის რაობა... კაცობრიობის ისტორიის ბევრი მაგალითი ერთ წამში გააცამტვერებს აქ მოთხრობილ ჩემს წარმოდგენასა და თეზას ხალხზე, ამისათვის ჰიტლერისა და სხვა მისთანანის ქმედებების გახსენებაც საკმარისი იქნება, ალბათ. მართლაც, ხომ ვერ ვიტყვით, რომ ისინი მარტონი იყვნენ და მათ გვერდით ხალხი არ იდგა? თურმე, ნუ იტყვით და ხალხს თუ თავზე ფანატიზმი მოახვიე, ისეთი დიდი უბედურება დატრიალდებააა!.. ხომ ვიცით, ფაშიზმად სახელდებული და მისი მსგავსი მაგალითები არც თუ ისე ცოტაა კაცობრიობის ისტორიაში. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი მოძრაობებისაგან, მაგრამ ხალხის გასაგებ ენაზე ვინ აგვიხსნის დღეს თუ საით მივყავართ ჩვენს წინამძღოლებს?

საპარლამენტო არჩევნების წინა დღეებია. პენსიონერებმა ათი-თხუთმეტი ლარით მომატებული პენსიები მიიღეს. გაჭირვებული ოჯახების სასკოლო ასაკის ბავშვებს უფასო სახელმძღვანელოებს ურიგებენ. დიდი ფაცი-ფუცია. იქეთ სიმღერები და ტაშ-ფანდურა, მოსახლეობაში უფასოდ დარიგებული, ახალ-ახალი შენობებით დამშვენებული ძვირფასფურცლებიანი ჟურნალები, თითქმის გუშინწინ ასფალტგადაგებული ქუჩების ხელახალი აყრა და ხელახალი ასფალტირება იმ ადგილებში, სადაც ოპოზიციური პარტიების ოფისებია განლაგებული (არადა, სწორედ იქვე, ახლო-მახლო უამრავი დაზიანებული, მგზავრთათვის კისრის მოსატეხი ქუჩა დღემდე მიუხედავია!ძ. რა არ ხდება. და ყველაფერი ეს აჩქარებული ტემპით. მთავრობამ მოიცალა და მოსახლეობის ეკონომიკური გაჭირვება აღიარა: ვიცით, ვიცით რომ ბევრი რამ გაკლიათ, პურიც, წყალიც, თავშესაფარიც, სამუშაო ადგილებიც... მაგრამ აწი ჩვენ ვიცითო! ვერც გაამტყუნებ, ხმებისთვის ილვწიან. ხალხის დიდი ნაწილი მაინც გაკვირვებულია: დღემდე სად იყვნენ, განა დრო და საათი მათ ხელში არ იყოო!?.

ხალხი კიდევ უფრო გააკვირვა და შეაშფოთა უცნაურმა, საიდუმლო და ყველასათვის გაუგებარმა, სახიფათო ოპერაციებმა. იმ ოპერაციებმა, რომლებსაც სპეციალური უწოდეს და, რომლებმაც ჩვენი ხელისუფლების ისედაც დაჩრდილულ ისტორიას, კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი შემატა. სხვაგვარად როგორ მოქცეულიყვნენო, ამბობს ზოგი, როდესაც კბილებამდე შეიარაღებულმა უცნობებმა თუ დაუპატიჟებელმა სტუმრებმა საზღვარი გადმოლახესო... თუმცა, საზღვარი და მისი გადმოლახვა რად გვინდა და რა სახსენებელია, როდესაც მტრებით, მოღალატეებით და რუსეთის აგენტებით თურმე სავსეა ჩვენი ქვეყანა. თავად პოლიტიკურ პარტიებშიც კი მოუკალათებიათ მათ და არა მარტო მოუკალათებიათ, არამედ მართავენ კიდევაც ამ პარტიებს და თავს ოპოზიციონერებად კი ასაღებენ.

ახლა სექტემბერია, მკისა და რთველის დრო. რაც დავთესეთ იმას მოვიმკით უთუოდ. დიახ, სეტყვა რომ არ ჩაგვრეოდა, მოვიმკიდითო, – ამბობენ გლეხები. პოლიტიკურ სარბიელზეც არ ჩაგვერიოს სეტყვა, ხალხო!.. უარესიც შეიძლებაო, ამბობენ უფრო ფრთხილნი, ფხიზლად და ყოჩაღად ვიყოთ, ფანატიზმმა არ დაგვრიოსო ხელი!

**გულნარა სტურუა**

ინფორმაცია

### „ლეიბორისტული პარტიის" თერჯოლის ორგანიზაცია და „ქართული დასის" კანდიდატი „ქართულ ოცნებას" შეუერთდნენ

ამის შესახებ კოალიციის წევრმა გიორგი ცაგარეიშვილმა განუცხადა. მისივე თქმით, „ქართული ოცნების" მონაპოვარი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან დღეს არის ბოლო ვადა, როდესაც მაჟორიტარობის კანდიდატებს სხვების სასარგებლოდ კანდიდატურის მოხსნა შეუძლიათ, რათა მათი სახელები ბიულეტენებში არ მოხვდეს.

როგორც ცაგარეიშვილმა განმარტა, „ლეიბორისტების" თერჯოლის რაიონული ორგანიზაციის დაშლის მიზეზი შალვა ნათელაშვილის მიერ თანაპარტიელების საარჩევნო კომისიებიდან გამოწვევა გახდა. „ეს 16 სექტემბერს, კომისიებში წევრების ცვლილების ვადის ამოწურვამდე ერთი საათით ადრე მოხდა. საოცარი კი ის არის, რომ შალვა ნათელაშვილის ხელმოწერილი ბლანკები პირდაპირ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების მაგიდებზე აღმოჩნდა. ასე ამორალურად და უზნეოდ იყენებს „ნაციონალური მოძრაობა", „ლეიბორისტების", „ქრისტიან-დემოკრატების" და სხვა სატელიტი პარტიების ბლანკებს", — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

მისივე ინფორმაციით, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ „ლეიბორისტების" რაიონული ორგანიზაცია თავმჯდომარე რევაზ მაჭარაშვილის ხელმძღვანელობით „ქართულ ოცნებას" შეუერთდა. როგორც ცაგარეიშვილმა აღნიშნა, კოალიციის კანდიდატის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა „ქართული დასის" მაჟორიტარობის კანდიდატმა ვალერი ლილუაშვილმაც და თავისი გუნდით „ქართულ ოცნებაში" გადავიდა.

### ანსამბლ „სუხიშვილების" მოცეკვავეები „ქართულ ოცნებას" შეუერთდნენ

ანსამბლ „სუხიშვილების" მოცეკვავეები რომეო ყუბანეიშვილი, დავით საკანელიძე, გიორგი დაუშვილი, ბექა გელაშვილი და გიორგი მაისურაძე „ქართულ ოცნებას" მხარდაჭერას უცხადებენ. როგორც ბიძინა ივანიშვილის „ფეისბუქის" ვებგვერდი იუწყება, მოცეკვავეები მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია არ უტოვებს გზას ხელოვანებს, განერიდონ პოლიტიკურ პროცესებს.

მათივე თქმით, დროა, ხელოვანებმაც გამოხატონ საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია იმ უსამართლობის წინააღმდეგ, რაც ქვეყანაში ხდება და არ მისცენ საშუალება ხელისუფლებას, მათი შემოქმედება პოლიტიკური ქულების ჩასაწერად გამოიყენოს.

### „ერისიონი" სრული შემადგენლობით „ქართულ ოცნებას" შეუერთდა

როგორც ანსამბლის „ფეისბუქის" გვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, კოალიციას მხარდაჭერას უცხადებენ. „ანსამბლ „ერისიონის" მთლიანი შემადგენლობა „ქართულ ოცნებას" უერთდება და ქვეყანაში გამეფებული უკანონობის მიმართ საკუთარ პროტესტს აფიქსირებს. „ერისიონის" წევრების განცხადებით, ხელოვანები ხალხის სამსახურში უნდა იყვნენ და არა ხელისუფლების", — ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

# „ყოფნა-არყოფნა“ სააკაშვილის არყოფნით მთავრდება!

**— დაიძლია თუ არა შიში სამეგრელოში, ამაზე ვსაუბრობთ საქართველოს სახალხო არტისტთან დიმა ჯაიანთან:**

ჩხოროწყუს საზღვართან არის სოფელი კათა. ეს ის ადგილია, თუ გახსოვთ, ალასანიამ რომ გვითხრა, აქაურ მთებში, გასაიდუმლოებულ ბაზებზე შეიარაღებული რაზმები ჰყავს ხელისუფებას გადამალული. შეხვედრას ვატარებთ, მოშორებით ხანდაზმული ცოლქმარი ზის, რატომღაც ერიდებათ ჩვენთან მოსვლა. მოვიწვიეთ. შემოგვიერთდნენ, ისე, რაღაცნაირი უკან მოხედვით.

**— დაშინებულები იქნებოდნენ.**

— ადამიანთან რომ მიხვალ და ეტყვი, „ქართული ოცნებისკენ“ თუ გაიხედავ, წაგართმევ პენსიას“, სიცრუითა და ტყუილით რომ აშინებ, უზნეო კაცო, ღამე თავზე რომ დაადგები უმწეო ადამიანებს, ლოგინიდან რომ წამოაგდებ და დაემუქრები, დაიჯერებენ მუქარას და დაშინდებიან. ეტყობა, ესენიც ასე იყვნენ დაშინებულები. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ფლიდმა ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახმარება დაუნიშნა ისეთ ოჯახებს, რომლებსაც არ ეკუთვნოდათ. ამ შარში საგანგებოდ გახვიეს ნაციონალებმა: „უკანონოდ დანიშნულის მოხსნის ეშინია ასეთ ოჯახებს და იმიტომ არ მიდიან „ქართულ ოცნებასთან“— ამიხსნეს, თუმცა ხმას, მაინც ბიძინას მისცემენო.

**(შექსპირს ვიხსენებთ, ნაწყვეტს ჰამლეტის ყოფნა-არყოფნიდან:**

**„ეს შიში გვიხშობს ნებისყოფას და უფრო ვრჩებით შემოჩვეულის და ნაცნობის ჭირის ატანას, ვიდრე უცნობის შესახვედრად მისწრაფებას. აი, ასე გვხდის ლაჩრად ჩვენი ცნობიერება )“.**

**— შეჩვეული ჭირის პრობლემაზე ვლაპარაკობთ და რახან შექსპირი მოვიხმეთ ჰამლეტთან ერთად, მომდევნო შეკითხვაც „თეატრალური ინტონაციით“ უნდა ყოფილიყო) :**

**ბატონო დიმა, ბევრი როლი შეგისრულებიათ სცენაზე. „ქართული ოცნების“ მაცნისა და მქადაგებლის როლი უფრო რთულია ,თუ უკვე ნათამაშები როლების განსახიერება იყო უფრო ძნელი?**

— ეს ძალიან ძნელია. რაჭაში რომ ავედი, ონის რაიონის სოფლებში ვიყავი - ღებში, ბაჯიხევში, შქმერში. ბაჯიხევში ცხოვრობს 11 მოსახლე. შეხვედრაზე 50 ადამიანი მოვიდა. სანახაობაზე კი არ იყვნენ მოსული, როგორც თეატრში სპექტაკლზე, არამედ მათი მომავალი ცხოვრების გზაგასაყარზე. ამიტომაა საოცრად ძნელი და უაღრესად საპასუხისმგებლო მათ წინაშე გამოსვლა. ვერ ითამაშებ დაზუთხულ როლს.

**— ექსპრომტზე უნდა ააგო სათქმელი?**

— დიახ... ბაჯიხევი მთიანი სოფელია. ძალიან ახლოს ვიყვი ცასთან და გამახსენდა რენე კალანდიას ერთი ლექსი, საზღვარგარეთ წასული კაცის ფიქრზე, ცა მომენატრაო შენი, მიმართავს საქართველოს, მაგრამ ცაზე რა გითხრა, როცა იგი გალაკტიონმა ქუდად დაიხურა. ეს ვთქვი და დავამატე: ასე მგონია, რომ ბაჯიხევში ცას მეც ქუდად დავიხურავ. აღფრთოვანდნენ ბაჯიხეველები.

**(მჯერა, რა თქმა უნდა, დავიჯერებ... რომ მართლა აღფრთოვანდნენ ბაჯიხეველები, რადგან დიმა ჯაიანმა ამ ინტერვიუს დროს ისეთი ემოციურობით შეასრულა ეს მიკროროლი, ერთი მსახიობისა და ერთი მაყურებლის თეატრის წარმოსახვით სცენაზე, რომ ორივენი ცრემლებამდე მივედით).**

## დიმა ჯაიანი: 22 სექტემბერს სამეგრელო საბოლოოდ ხერხემალში გადატეხს „ნაციონალურ მოძრაობას“



— ძნელია ხალხთან საუბრის მისია რომ გაკისრია, განაგრძობს ჯაიანი, აუდიტორიას კი არა, თითო კაცს უნდა მოერგო, იმის ფიქრსა და მოლოდინს გასცე ისეთი პასუხი, რომელსაც ელოდება და რომელიც უნდა, რომ მოისმინოს.

**— პირდაპირ მითხარით, ასეთ შემთხვევაში დიმა ჯაიანის ფაქტორი თუ თამაშობს გადამწყვეტ როლს?**

— იმედი მაქვს, სწორად გამიგებთ. რაჭის ერთ სოფელში 80 წლის კაცი მოვიდა ჩემთან და მითხრა: ფულს გადავდებ ხოლმე გაზეთების საყიდლად და ვყიდულობ, სადაც შენი გამოსვლებია დაბეჭდილი. ორი ტომარა დამიგროვდა. დიმა ჯაიანს ჩემს ცხოვრებაში თუ გავიცნობდი, არ მეგონაო... ასეთ კაცს, ასეთ ადამიანებს იმედს ვერ გაუცრუებ. მათთან საუბარი როლის შესრულება კი არ არის, გულის ხელზე დადებაა.

**— მიგაჩნიათ, რომ ყველა, ვინც ახლა „ქართული ოცნების“ სახელით და მის მხარდსაჭერად დადის სოფელ-სოფელ, ქალაქებში, ამ მისიის შემსრულებელია?**

— გვარებს არ დაგისახელებთ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: ზოგიერთი ანტირეკლამაა.

**— ასევე პირდაპირ მიპასუხეთ, ბატონო დიმა, როგორ აფასებთ, რა ვითარებაა დღეს დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც თქვენ იყავით? განსაკუთრებით, სამეგრელოზე მინდა გკითხოთ, რადგან ერთგვარი გულგატეხილობა თუ არა, ეჭვის ჭია ღრღნის საზოგადოებას... სამეგრელო წაგებული აქვსო „ქართულ ოცნებას“.**

— არ დაიჯეროთ! ერთ ამბავს გეტყვით. ავტობუსის შოფერი ჩვეულებრივ რეისს ასრულებდა თავისი „იკარუსით“, ჩვეულებრივი მგზავრები მიჰყავდა თბილისში... სააკაშვილი ჩაუხტა მანქანაში და ის ტელეკადრები, ალბათ, გახსოვთ, როგორ პოზიორობდა „რევოლუციის მებაირახტრე“ კამერების წინაშე, ვითომ წინ მიუძღოდა „ამბოხებულ ხალხს“ თბილისისკენ ხელისუფლების დასამხობად.

ის კაცი, ავტობუსის მძღოლი, აითვალწუნეს. მაშინ გამოიყვანა იმ წალენჯიხელმა კაცმა თავისი საკუთარი ავტობუსი, გადაასხა ბენზინი და დაწვა: „არ შეიძლება. რომ ეს ავტობუსი არსებობდესო, მე კი არაფერ შუაში ვარო“.

გუშინ მოვიდა ის კაცი ჩემთან, გადამეხვია და მაკოცა.

სამწუხაროდ, „ვარდების რევოლუცია“ სამეგრელოდან დაწყებულად მიიჩნევა, სამეგრელოსთან ასოცირდება. მომისმენია თბილისში: „რომ არა წალენჯიხა და მეგრელებიო...“ არ არის ასე! აი, 22-ში, ზუგდიდში შეხვედრაზე დაინახავთ ყველა, როგორ გადატყდება წელში „ნაციონალური მოძრაობა“ როგორ გაცამტვერდება. 22 და 29 სექტემბერი, ზუგდიდისა და თბილისის აქციები უზარმაზარ როლს ითამაშებენ საბოლოო გამარჯვებაში, რომელიც პირველ ოქტომბერს ოფიციალურად დაფიქსირდება.

**— ისევ სამეგრელო „გადის საქმეში“?**

— სამეგრელოს აბრალებდნენ სააკაშვილის მოვლინებას და, ალბათ, არის ამაში სიმართლის ნაწილი. იყო რაღაცა. ახლა კი ისევ სამეგრელო, დანარჩენ საქართველოსთან ერთად იტვირთებს ჩვენი სამშობლოს განახლებისა და აღზევების დიად მისიას.

— მე ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება ბატონ ბიძინას გამარჯვებაში. ერთხელ მასთან საუბარში ვთქვი: „თუ მოხვალთ?“ — მეთქი.

თუ რა სიტყვააო, — მიპასუხა, — მე უკვე მოსული ვარო!

**არმაზ სანებლიძე**

**P. S. 18 სექტემბერს ერთად წავედით მე და დიმა ჯაიანი დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატთან — ეკა ბესელიასთან ფოთის მოსახლეობასთან შეხვედრაზე.**

**ქუჩა-ქუჩა დავდივართ, გუშინ ექვსი ასეთი შეხვედრა გაიმართა, ყველგან უამრავი მოქალაქე მოვიდა, და თუ ამ შეხვედრებით ვიმსჯელებთ, იმ განწყობილებით, რომელსაც აქაური მოსახლეობა ამჟღავნებს, ბესელიას ფოთი მოგებული აქვს.**

**... 18-ში საღამოს კი „მაესტროსა“ და „მეცხრე არხის“ ეთერით პატიმართა ჯალათური წამების კადრების გავრცელების შემდეგ ნაცმოძრაობა საბოლოოდ დასამარდა.**

**„ყოფნა-არყოფნა“ სააკაშვილის არყოფნით მთავრდება.**

**ფარდა დაშვებულია.**

**ა. ს.**

# განცხადება აუქციონის შესახებ

2012 წლის 29 სექტემბერს, 11.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს „MONTE CARLO“-ს (ს.ნ. 445398089ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის რეალიზაცია:

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- შპს „MONTE CARLO“-ს (ს.ნ. 445398089ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ. ბათუმი, ქუჩა ნინოშვილი, №23-ა, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 1014.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 05.22.02.010, შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 6104.39 კვ.მ., ფართი 656.00 კვ.მ., მიწის(უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №05.22.02.011.01.500.

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: **1,038,080 (ერთი მილიონ ოცდათვრამეტი ათას ოთხმოცი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება, გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს „თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე **GE30 TB11 0045 0113 0055 55**, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

**საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „MONTE CARLO“-ს (ს.ნ 445398089), ქერარ სუკიასიანს (სომხეთის მოქალაქე, დაბ. 27.02.1974წ. პასპორტის ნომერი AM0581183), შპს „სახლი ბულვარში“-ს (ს.ნ 245629636)**

ეცნობოს შპს „MONTE CARLO“-ს (ს.ნ 445398089ძ, ქერარ სუკიასიანს (სომხეთის მოქალაქე, დაბ. 27.02.1974წ. პასპორტის ნომერი AM0581183ძ, შპს „სახლი ბულვარში“-ს (ს.ნ 245629636ძ, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუქციონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება)ძ მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

№181. პარასკევი, 21 სექტემბერი, 2012 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ციხეში სექსუალური ძალადობის ფაქტების გამოძიება

ვიდეომასალა, რომელიც საქართველოს ტელევიზიით 2012 წლის 18 სექტემბერს გადაიცა, აღწერს სექსუალურ და სხვა სახის ძალადობას პატიმრებზე ცნობილ ქართულ ციხეში, რაც სისხლის სამართლის გამოძიების მიზეზი უნდა გახდეს, განაცხადა Human Rights Watch-მა. საქართველოს მთავრობამ უნდა ჩაატაროს სწრაფი, ყოვლისმომცველი და დამოუკიდებელი გამოძიება ძალადობის ამ ფაქტებთან დაკავშირებით, დააკავოს ისინი, ვინც უნდა აგოს პასუხი და უზრუნველყოს მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა.

საქართველოს ოფიციალურმა პირებმა საჯაროდ განაცხადეს, რომ პენიტენციარული დეპარტამენტის უფროსი დაითხოვეს ძალადობის გამო და დაპატიმრებულია რამდენიმე სხვა ჩინოვნიკი. ისეთი კრიმინალური ხასიათის ქმედებანი, როგორიცაა სექსუალური ძალადობა უნდა გახდეს სისხლის სამართლის დევნის საგანი და არ უნდა შემოიფარგლოს უბრალოდ ადმინისტრაციული სანქციებით, განაცხადა Human Rights Watch-მა.

„ძალადობა, რომელიც ასახულია ამ ჩანაწერში ძალიან შემაშფოთებელია,“ განაცხადა გიორგი გოგიამ, Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის მკვლევარმა. „ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სრული პასუხისგება, მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისგება ამ ძალადობისთვის და მიიღოს ზომები ამგვარი ფაქტების განმეორების აღსაკვეთად.“

Human Rights Watch-ის განცხადებით, მათ, ვინც ეჭვმიტანილია იმაში, რომ მონაწილეობდა ამ ძალადობაში, უნდა შეუჩერდეთ უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე.

18 სექტემბერს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ დაიწყო გამოძიება გლდანის №8 საპატიმროში „პენიტენციარული დეპარტამენტის გარკვეულ თანამშრომელთა მიერ“ პატიმრების უფლებების შელახვის გამო.



განცხადებას თან ახლდა ბმული, სადაც ასახული იყო ციხის ადმინისტრაციის ფიზიკური თავდასხმა პატიმრებზე.

იმ საღამოს თოქ-შოუში ტელეკომპანია „მაესტრომ“ გადასცა სხვა ვიდეომასალა, სადაც გლდანის ციხის თანამშრომლები სცემდნენ, შეურაცხყოფდნენ და ამცირებდნენ ახლად მიყვანილ ტუსაღებს მერვე საპყრობილეში. ცოტა ხანში კიდევ ერთმა ტელეკომპანიამ, მეცხრე არხმა გადასცა ვიდეომასალა, სადაც ცხადად, თვალსაჩინოდ იყო ნაჩვენები, თუ როგორ აუპატიურებენ პატიმრებს ციხის თანამშრომლები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღიარა არასათანადო მოპყრობა. მაგრამ განაცხდა, რომ რამდენიმე თანამშრომელმა ჩაიწერა ძალადობის ფაქტები, რადგან ერთ-ერთ პატიმარს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი შეთქმულება. მან დაარწმუნა ციხის თანამშრომლები ჩაეწერა ეს ყველაფერი „სერიოზული გასამრჯელოს“ სანაცვლოდ.

საქართველოს ომბუდსმენი ხშირად ახსენებდა გლდანის მერვე საპყრობილეს, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საპატიმროს. 2010 წლის ანგარიშში, ევროპის კომისიამ წამების აღკვეთისათვის განაცხადა, რომ გლდანის საპატიმროს ყოფილი ტუსაღების თქმით, მათ ურტყამდნენ მუშტებს, წიხლებს და ხელკეტებს ციხეში გადაყვანის პროცესში და როდესაც ისჯებოდნენ ხმამაღალი ლაპარაკისთვის, ან სხვა საკნებში მყოფ ტუსაღებთან კომუნიკაციის მცდელობისას. ანგარიშში ნათქვამია ისიც, რომ სატუსაღოში დახვდათ „უჩვეულო სიჩუმე“.

საქართველოს ხელისუფალთ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონის მიხედვით ვალდებულებანი აქვს — მან არა მხოლოდ ეფექტურად უნდა გამოიძიოს არასათანადო მოპყრობისა და წამების ფაქტები, არამედ დააწესოს სისხლის სამართლის სანქციები მათ წინააღმდეგ, ვისი ბრალიც დადგენილია, განაცხადა Human Rights Watch-მა. გარდა ამისა, ძალადობის მსხვერპლნი უნდა დაცულნი იყვნენ კანონით, აცხადებს Human Rights Watch-ი.

„სექსუალური ძალადობა პატიმრებზე წამებაა,“ ამბობს გიორგი გოგია. „წამების აკრძალვა აბსოლუტურია და მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამართლის აღსრულება“.

HUMAN RIGHTS WATCH

ინფორმაცია

## პატიმართა წამება უცხოეთში სტუდენტებმა და ამერიკელმა პროფესორებმა გააპროტესტეს

როგორც ჩეხეთის დედაქალაქიდან იტყობინებიან, რამდენიმე ათეული ქართველი სტუდენტი ამერიკელ პროფესორებთან ერთად ქუჩაში გამოვიდა.

პრაღის ცენტრში, „პალაცკეჰო ნამესტიზე“ შეკრებილმა სტუდენტებმა და მათმა უცხოელმა მეგობრებმა საქართველოს ციხეებში პატიმართა წამება დაგმეს.

აქციის მონაწილეებს ეჭირათ პლაკატები წარწერით — „სამართლიანობა პატიმრებს“ და „არა წამებას“.

— მოვითხოვთ, გადადგეს ბაჩო ახალაია და ჩატარდეს დეტალური გამოძიება და პასუხი აგოს ყველა დამნაშავე პირმა, — განაცხადა ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტმა ნიკოლოზ ღლონტმა.

აქციაში ქართველ სტუდენტებთან ერთად აშშ-ის ჩეპმენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ელმანიც მონაწილეობდა, რომელმაც გავრცელებული კადრები სტუდენტებთან ერთად ინტერნეტით ნახა და ქართულ ციხეებში პატიმართა მდგომარეობას შემაშფოთებელი უწოდა.

— ჩემი შეშფოთება გამოწვეულია იმით, რომ არსებობს გარკვეული ხაზი, რომელიც, მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანამ არ უნდა გადაკვეთოს. ადამიანების უფლებები ეს ერთ-ერთი ასეთი ხაზია. შესაბამისად, პასუხი უნდა აგონ იმ ადამიანებმა, ვინც ამ ხაზის გადაკვეთაში პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა, — აღნიშნა რობერტ ელმანმა.

პრაღაში გამართულ აქციაში 30-მდე კაცი მონაწილეობდა და ის ნახევარ საათში დასრულდა.

ინტერპრესი

ხედვა ამერიკიდან

# რეიჩელ დენბერი: პასუხისგებაში მიცემის ადეკვატური მექანიზმი არ არსებობს...

ამა წლის 19 სექტემბერს საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-მა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ადამიანის დამცირება, რომელიც ვიდეოგადაღებაში აღიბეჭდა, ღრმა შეშფოთებას იწვევს. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დამნაშავეების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დისციპლინარული ზომებით“. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ საქართველოს სახალხო დამცველი გლადნის №8 საპყრობილეს ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურ დაწესებულებად არაერთხელ მოიხსენიებდა; ევროკომისიის წამების პრევენციის კომიტეტის 2010 წლის მოხსენებაში კი აღნიშნულია იმის შესახებ, რომ გლდანის ციხის ყოფილი პატიმრები აცხადებდნენ, რომ ციხის პერსონალი მათ მუშტებით, ფეხებითა და ხელჯოხებით სცემდა როგორც ციხეში შესვლისას, ასევე დასჯის მიზნით ისეთი ქმედებების გამო, როგორიცაა ხმამაღალი საუბარი ანდა სხვა საკნის პატიმართან დაკავშირების მცდელობა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კომიტეტის დელეგაცია ციხეში ვიზიტისას წააწყდა პატიმრების „არატიპურ დუმილს“. Human Rights Watch-ი ასევე აღნიშნავს, რომ გარდა დამნაშავეების შესაბამისად დასჯისა, აუცილებელია მსხვერპლთა სათანადო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა.

საქართველოში პენიტენციარული სისტემის დღევანდელი მდგომარეობის დასახასიათებლად Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრამების დირექტორის მოადგილეს **რეიჩელ დენბერს** მივმართე, რომელსაც 5 წლის წინათ, სწორედ საქართველოს ციხეებში მიმდინარე რეფორმების შესახებ ვეკითხებოდი. ეს ის პერიოდია, რომ ამ უფლებადამცველი ორგანიზაციის დაკვირვებით საქართველოს პანიტენციარული სისტემის რეფორმა მკვდარი წერტილიდან დაიძრა.

— გუშინ ჩვენ ქართულ მედიას ძალიან ყურადღებით ვაკვირდებოდით, რათა არსებული სიტუაციის სრული სურათი შეგვქმნოდა, რამდენადაც ეს შორიდანაა შესაძლებელი — განაცხადა რეიჩელ დენბერმა. — 2006 წელს ჩვენ მართლაც ჩავატარეთ საქართველოს პენიტენციარული სისტემის საკმაოდ ფართომასშტაბიანი კვლევა, დავწერეთ ანგარიში და მას მერე ლოკალური უფლებადამცველი ორგანიზაციების მეშვეობით არ შეგვიწყვეტია ამ საკითხის ღრმად შესწავლა. მოხსენებაში ჩვენ მაშინაც მოვუწოდებდით საქართველოს ხელისუფლებას რეფორმებისკენ. Human Rights Watch-ი ნებისმიერ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ურთიერთობს, რომელმაც ჩვენთან თანამშრომლობა მოინდომა. ასე, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩვენ რეგულარულად ვილებთ საჭირო ინფორმაციას. ქართველმა უფლებადამცველებმა არაერთხელ გვაცნობეს ციხეში ადამიანებისადმი სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის შემთხვევის შესახებ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს.

**— თქვენ მაშინ აღნიშნეთ, რომ რეფორმები დიდი ენთუაზიმით დაიწყო, მაგრამ...**

— პენიტენციარული სისტემის რეფორმა საკმაოდ დიდი თემაა. დარწმუნებული ვარ, სასტიკი მოპყრობა 6 წლის წინათაც არსებობდა... შეიძლება ააშენო ახალი ციხე, გაარემონტო, პრობაციის ახალი სისტემა შეიმუშავო, მაგრამ წამების ფაქტი მაინც დაფიქსირდეს. მთავარია, ხელისუფლებამ თავის თავზე გამოძიებისა და დამნაშავეების დასჯის პასუხისმგებლობა აიღოს. სამწუხაროდ, ხელისუფლების უმოქმედობის პირობებში არანაირი გარანტია არაა იმისა, რომ დამნაშავეებს დასჯიან და, შესაბამისად, არაა იმის გარანტიაც, რომ დანაშაული შეწყდება. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, პასუხს არც არავინ აგებს, რადგანაც პასუხისგებაში მიცემის ადეკვატური მექანიზმი არ არსებობს. ეს მექანიზმი კი კანონს უნდა ემორჩილებოდეს. ვიდეომასალაზე აღნუსხული წამების ფაქტები სასწრაფოდ უნდა იყოს გამოკვლეული, ხოლო გამოძიება უნდა იყოს ამომწურავი, გამჭვირვალე და რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

**— ძალიან ხშირად რეფორმის წარმატების დამაგვირგვინებლად სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიტიურ შეფასებებს ასახელებენ...**

— Human Rights Watch-ი დიდი ხანია საქართველო მუშაობს, მაგრამ ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ თქვენი ქვეყანა პირველ ადგილზე არასოდეს დაგვიყენებია.



**— თქვენს და კიდევ სხვა ორგანიზაციების მრავალგვერდიანი, დაწვრილებითი ანგარიშები რიგითი მოქალაქისთვის მაინც დიდ „საკითხავ“ ინტერესს არ წარმოადგენს, არადა იქ ყველაფერი დეტალურადაა არწერილი. მაგრამ, როგორც კი ვიდეოჩანაწერი გაჩნდა, ხალხი ძალადობის გასაპროტესტებლად გარეთ გამოვიდა ანუ ანგარიშის უფრო მეტი გავლენისთვის ვიზუალიზაცია აუცილებელია...**

გეთანხმებით, ასეა. როგორც კი ძალადობის ვიზუალიზაცია მოხდა, მას მყისვე შოკური რეაქცია მოჰყვა. უპირველესად იგი ადამიანის სინდისის განცდას შეეხო. მაგრამ თუ მხოლოდ ამ კადრებს უყურებ, ისეთი შთაბეჭდილება შეიძლება შეგექმნას, რომ ეს მხოლოდ ერთეული ინციდენტია. ამიტომ დოკუმენტების, წერილობითი აღწერის გარეშე სრული სურათის შექმნა შეუძლებელია. რასაკვირველია, ვიდეოკადრი დაუვიწყარ ხატს ქმნის, მაგრამ იგი მაინც ვერ შეცვლის ანგარიშის წერილობით მხარეს, სადაც ყველაფერი ძალიან დაწვრილებითაა მოცემული. სიმართლის აღწერა წერილობითაც სავსებით რეალისტურადაა შესაძლებელი.

**ია მერკვილაძე,**
ნიუ იორკი, აშშ

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენი მტერ-მოყვარენი ჩვენზე

სხვა ფაქტორებსაც მივხედოთ.

აფხაზების, ოსების, რუსების ინტერესებში, ქართველი ხალხის ძირეულ ინტერესებში შედიოდა თბილისური რეჟიმის დამხობა სათავეში მყოფ არალეგიტიმურ და ფსიქიკურად არაადეკვატურ სააკაშვილთან ერთად. ასეთად მას მიიჩნევს, ავად სთქმელად, ქართველთა უმრავლესობა. მათთვის ცნობილია, რომ ქვეყანაში არ ყოფილა არავითარი „ვარდების რევოლუცია“, არავითარი „თავისუფალი და პატიოსანი არჩევნები“. როცა დასავლეთის საარჩევნო ინკუბატორმა სააკაშვილი შვა, საქართველოში შედგა უჩვეულებრივი, რამდენადმე მყვირალა და ჩხუბიანი, ბურჟუაზიული გადატრიალება.

ერთი სიტყვით, ქართველებმაც და არაქართველებმაც იციან, რომ ეს ენაგატლეკილი დიპლომირებული იურისტი, სრულად დაკნინებული საქართველოსთვის უსარგებლო მეცნიერებათა შემსწავლელი დასავლეთში, აქ ჩრდილოამერიკულ განწესებულად გამოცხადდა და „რევოლუციური“ პრემიერის გმირად იქცა; თუმცა, მთავარ რეჟისორს არ შეუცვლია არც პიესა, არც დეკორაციები, არც დანარჩენი სამსახიობო შემადგენლობა, მოკარნახეც კი; თუ არადემოკრატიულ ყურებს აპარტყუნებთ, უფრო გასაგებად გეტყვით: ეს კაცი კანონიერების სპეციალისტი და უკანონობის მოყვარულია: სულ შინაურულად კი – ტუტუცია და გაიძვერა. მაგის საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტია ტუტუცობა, საშინაოში – გაიძვერობა...

როგორც პოლიტიკის, ასევე მედიცინის თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვანია პრეზიდენტის ბუნების ასეთი თვისებები: ნევრასთენიური აღგზნების მდგომარეობაში სააკაშვილს შეეძლო ყველას თანდასწრებით ავეჯის მტვრევა ან ქვეშევრდომთათვის სროლა (ერთ მინისტრს გაუმართლა: პრეზიდენტმა მხოლოდ და მხოლოდ ტელეფონის აპარატი სთხლიშა); ან იატაკზე გორაობა; ან პირში საკუთარი ჰალსტუხის ჩაჩრა და ღეჭვა; ან რატრატი იმაზე, რომ რუსეთის არმიამ მიწასთან გაასწორა სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი, თავს დაესხა ოსებს, მერე ქართველებს, თუმცა, ამ უკანასკნელთაგან შეშინებული, გაიქცა ბრძოლის ველიდან... რის მერეც სააკაშვილმა გამოაცხადა თავისი დიდი სახელმწიფო – რაღაც უფორმო ტერიტორია ხუთჯვრიანი დროშის ქვეშ (დიახ, დიახ, პირადად იმის გამოგონებულ დროშაზე მთელი ხუთი ჯვარია) – „თავისუფლებისთვის ბრძოლის მსოფლიო ცენტრად“.

ომი თითქოს თავისი კანონზომიერი ფინალისკენ მიდიოდა, თუმცა, ჰალსტუხიჭამიას თავის პოსტზე დარჩენის საშუალება მისცეს. ამით რუსეთის მხარემ მაგ ვაჟბატონს შესაძლებლობა გაუჩინა, რომ რუსეთი ორი ქვეყნის კავშირის ისტორიაში ყველაზე ღვარძლიან ბრალდებათა ლაფში ამოესვარა. სააკაშვილის პროპაგანდა წარსულ ცოდვებს აკუთვნებდა „რუსების თანდაყოლილ აგრესიულობას“, „ქართველი ერის საუკუნებრივ დამონებას რუსული იმპერიალიზმის მიერ“, „რუსი ხალხის უბადრუკობასა და გაუთლელობას“; მიმდინარეს – „სადიზმს, „მაროდიორობას“, „ეთნიკურ წმენდებს“, „რუსი ბარბაროსებისგან ძველი იბერიის დანაწევრებას“. ბოლო ბრალდება განსაკუთრებით ცინიკურად გამოიყურებოდა, რამდენადაც იმათგან მოდიოდა, ვინც ქართველი სამხედრო მოსამსახურეები დალოცა და სასწავლებლად გაუგზავნა აგრესიულ დასავლეთს, სასწავლებლად და დასახმარებლად იმის მარადიულ საქმიანობაში: სწორედ რომ დანაწევრებაში, კონკრეტულად – იუგოსლავიისა, ავღანეთისა, ერაყისა. ბრალდებებით „სააკისტები“ ისე იტკბარუნებდნენ პირს, თითქოს ცხელ-ცხელ ხაჭაპურებს მიირთმევდნენ, თუმცა, ეგ ბრალდებები ჩვეულებრივი ტალახი იყო, იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური თხრილიდან, რომელშიც საქართველოა ჩავარდნილი; იქ დიდი ხანია, რაც მოხდა, ოღონდ სააკაშვილის ხელში უფრო ღრმად ჩაეფლო.

თავისი აგრესიის პროპაგანდისტული უზრუნველყოფა კრიმინალურმა მთავრობამ წინასწარ მოამზადა. ამიტომაც იყო, რომ ქართული ტელერადიოეთერი ათასნაირად ხმაურობდა, განუწყვეტლივ გამოსცემდა, როგორც მყრალ ჰაერს კუჭნაწლავიდან, ფალსიფიცირებულ ვიდეო და აუდიომასალებს. გაზეთების ფურცლებზე ინფორმაცია კიდევ მეტი სიმსუბუქით ყალიბდებოდა, რადგან გაზეთებს საქართველოში მიკროსკოპული ტირაჟები აქვთ და ცოტა ვინმე თუ ამჩნევდა იქ გადმონთხეულ სიბინძურეს. სპეცსამსახურული სტრუქტურების მუშაობა დუღდა ცრუ ხმების გავრცელებისას. ქუჩებში მოხალისეთა სახით მიმოქროდნენ დაქირავებული აგიტატორები გულისამაჩუყებელი ლოზუნგებითა და ჭორებით: „გამაგრდით, დახმარება ახლოსაა“, „ჩვენ ვიმარჯვებთ“, „მოკლულია ათასობით რუსი დამპყრობი“, „ჩვენმა გმირულმა ჯარებმა შეაჩერეს ინტერვენციები“ და სხვა.

ქართველი ფიურერის გარშემო არ ჩანდა ხალხისა და საზღვარგარეთელი მეგობრების ერთიანობა და დარაზმულობა. თვალწინ იყო ერთგულქვეშევრდომულ გრძნობათა მრავალრიცხოვანი გამოვლენანი იმათგან, ვისაც ნებისმიერი შემთხვევისათვის აქვთ კონიუნქტურულ-პატრიოტული ნამზადები. სხვადასხვაყალიბიანი უცხოელები ირწმუნებოდნენ, მხარს გიჭერთო, არადა ბევრი მათგანი მჟავე სიფათით გამოიყურებოდა, გეგონებოდა, ქართული ლიმონით გასკდნენო.

ფაქტობრივად თვალწინ აი, რა იყო: 1) ოპოზიციის ერთბაშად დადუმებული თვალსაჩინო წარმომადგენლების შიში, რომ არ დაედანაშაულებინათ რუსების ხელშეწყობაში; 2) მედუქნეთა შიში ხელისუფალთა „შემოსევისგან“ ზარალის ნახვისა; 3) საქართველოში რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, უკრაინული და სხვა დიასპორების ზოგიერთი ლიდერის შიში, რომ მოაკლდებათ შემდგომაც სასიამოვნო, ქურდული ცხოვრების შესაძლებლობა; 4) რიგით მოქალაქეთა შიში არალოიალობის მიზეზით სამუშაოს დაკარგვისა; 5) ხალხის მასობრივი აღშფოთება პრეზიდენტ-დამნაშავისაგან დაწყებული ძმათამკვლელი ომისა; 6) ღია არამასობრივი აღშფოთება; 7) სეპარატისტული განწყობილების გამოვლენა რესპუბლიკის იმ კუთხეებში, სადაც ადრე ეს არ შეიმჩნეოდა; 8) დასავლელ კურატორთა იმედგაცრუება ქართული გენერალიტეტისა და იმისი არმიის სამხედრო უნარ-ჩვევებში.

თვალწინ იყო აგრეთვე საყოველთაო ხითხითი სააკაშვილის დეფექტიურ სიფათზე, სააკაშვილისა, ვინც კისრისტეხით გაიქცა (დაფიქსირებულია ტელევიზიითა და ჩაწერა (არაა დაფიქსირებული ტელევიზიით), როგორც კი მაღლა ცაში გამოჩნდა რუსეთის თვითმფრინავი, სადაც თავის საქმეებზე მიფრინავდა. მოგვიანებით სიფათი ირწმუნებოდა, რომ უბრალოდ ისე კი არ მოუსვა, არამედ რუსული მოიერიშე თვითმფრინავი გაიტყუა იმ ადგილიდან, სადაც უმაღლესი მთავარსარდლის კორტეჟის შემხვედრი ხალხი შეგროვდა, ტყვიის დაშენისაგან იმათ გადასარჩენად; რამდენადაც სიფათმა თავად წამოიწია ისტორიულ გმირთან პარალელზე, ავიღოთ და შევადაროთ.

ნამდვილმა ივან სუსანინმა 1613 წელს პოლონელ მომხრეთა რაზმი კოსტრომის ახლოს გაუვალ ტყეში გაიყოლა, სადაც ისინი დაიღუპნენ. ის ძალიან განსხვავდება 2008 წლის ჩამოსხმის ქართველი „ივან სუსანინისაგან“.

ნამდვილს თუ რუსეთი უყვარდა, ამას ეჯავრებოდა, ნამდვილი თუ მარტო და გააზრებულად წავიდა სიკვდილზე, ეს დაცვის იმოდენა რაოდენობით იყო დაფარული, რომ იმის განგმირვას დასჭირდებოდა ერთი მოიერიშე კი არა, მთელი ესკადრილია. ნამდვილმა თუ დაღუპა დასავლელი ოკუპანტები, ეს მათ ეხმარებოდა. უფრო მეტიც, სულში იძვრენდა. ისინი ხომ ველური რუსეთიდან კი არა, კულტურული ევროპიდან ჩამოვიდნენ! და რა ეშმაკად იყო, რომ კოსტრომელმა ტეტიამ მოიძულა აღზრდილი, განათლებული პოლონელი პანები, იარაღით ხელში იმის მიწაზე მოსულნი! თავდავიწყებით შეიყვარა ხომ საქართველომ ყველაფერი დასავლური – სიამოვნების მომნიჭებელიაო.

სწორედ სიამოვნებას ასხივებდა ჩასუქებული ქართველი პრეზიდენტის გარეგნობა ყოველ ჯერზე, როცა აშშ-ზე, ისრაელზე, ნატო-ზე, ევროკავშირზე ალაპარაკდებოდა ხოლმე. ის, საწოლში „მაჩო“, პოლიტიკაში მუდამ პასიური ცვედანი გახლდათ. საკმაოდ იაფი, მაგრამ არცთუ უპრინციპოც – მისაწვდომი ყველა მსურველისთვის კი არა, მხოლოდ აქტიური დასავლური „დემოკრატიებისთვის“. ზედმეტია იმისი პირქუში და გადაბრეცილი შესახედაობის აღწერა, როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა რუსეთზე, განსაკუთრებით წარსულის... გმირულ რუსეთზე. ამას ფერმწერის მოლბერტი ან, უარეს შემთხვევაში, კარიკატურისტის ბლოკნოტი დასჭირდებოდა. ეგეც კია, „სააკისტები“ ნებისმიერ დასასრულზე თანახმა არიან, ოღონდ კი დასავლური იყოს...

„რუსული აგრესიის“ წინააღმდეგ, სინამდვილეში კი იმის წინააღმდეგ, რომ რუსებმა არ დააბომბვინეს მთელი სამხრეთ ოსეთი, არ დაახოცვინეს ან არ გააძევებინეს ის ადამიანები, ვისაც არ სურდა თბილისელი პოლიტიკოსების პარანოიდული მმართველობის ქვეშ ცხოვრება, ამხედრდნენ სისტემის ყველაზე გათავხედებული აქტივისტები. ისინი ჩასანგრდნენ ძირითადად ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის საინფორმაციო ქსელებსა და საპარლამენტო სალაყბოებში, თუმცა, ინტენსიურად და დაუღალავად აფუჭებენ საქმეს რუსეთის საინფორმაციო ველის შიგნითაც.

თავისუფლებისმოყვარე კატეგორიები „ვარდენები“ – ისრაელელები, ჩრდილოამერიკელები, დასავლეთევროპელები – მხარს უჭერენ პროისრაელურ, პროამერიკულ, პროევროპულ საქართველოს; და მაგასაც, წაგებული ომისგან გამოფხიზლების ნაცვლად, თავზარდაცემულს, ვითარცა გამოუცდელ, შემთვრალ თამადას, რომელსაც ჩუმ-ჩუმად მასხრად იგდებს ზემოთ დასახელებულ თანამოსუფრეთა კომპანია.

რეალობას შემხედვარე, ანექსიონისტური ქიმერების ტყვეობაში მყოფი, გაეროსა და სხვა ნახევრად მკვდარი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობით დამტკბარი თბილისელი მარიონეტები დამამცირებლად უწოდებენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას „ცხინვალის რეგიონს“ და თავში არ მოსვლიათ, რომ იწვევენ საქართველოს რესპუბლიკისადმი გამოთქმა „ქართველური რეგიონის“ გამოყენების პროვოცირებას. არადა კიდევ რა უნდა უწოდო პოსტსაბჭოურს, სულ რომ შიდა და გარე გარჩევებისა თუ იქით-აქეთ სროლების მდგომარეობაში იმყოფება, არა აქვს ხეირიანად მოხაზული საზღვრები; რომლის პერიფერია დროდადრო აღუდგება ხოლმე ცენტრს; სადაც პოლიტიკური მკვლელობები, პოლიტიკურ ცხვირ-პირის მტვრევაზე რომ არა ვთქვათ-რა, ჩვეულებრივი საქმეა; ვისი სახმელეთო, საწყლოსნო და საჰაერო სივრცეები დასავლეთის განუყოფელ სამხედრო სარგებლობაშია!

ოპერატიული პოლიტიკოსები და პოლიტიკესები (მანდილოსნები!) სავსებით გულახდილად მძვინვარებდნენ „რუსული აგრესიის“ საწინააღმდეგო მიტინგებზე; თუმცა, ვადასტურებთ, რომ გულახდილები და გულახდილობა იქ ერთი თეთრისა იყო (ქართული „კაპიკი“), ხალხი კი ესწრებოდა ათასობით ლარისა (ქართული „რუბლი“). ესწრებოდა ცალკე საზღაურისთვის (20 ლარი ერთ სულზე) და განწესით.

ლიბერასტების უნივერსალური ხელწერა არაფერში არ აგერევა!.. გახურებული არდადეგების მიუხედავად, ქართველ ხელისუფალთა მაკონტროლებელი უნარ-ჩვევები და ორგანიზატორული ძალისხმევები ქებათა-ქებას იმსახურებს. არც ერთ მამას, არც ერთ დედას არ უნდა, რომ იმათ შვილს შარს სდებდნენ ან სკოლიდან რიცხავდნენ. მობილიზებული მოხელეები კი, სახლებში ალყებს რომ აწყობდნენ, ამას მტკიცედ აღუთქვამდნენ, ინიშნავდნენ არა ოდენ ბავშვებს, არამედ მშობლებსაც, საერთოდ ყველას, ვინც სკანდირებას ეწეოდა არც ისე ხმამაღლა და უენთუზიაზმოდ აფრიალებდა დროშებსა და ტრანსპარანტებს. თავყრილობებზე უფასო მასობრივად გამოდიოდნენ მოსწავლეები, უფრო მეტად გამოიჭირეს სტუდენტები და სულაც ერთიანად მოხვეტეს მოსამსახურეები და იმათი ოჯახების წევრები, რომელთაგან ბევრმა ვერ მოასწრო მიმალვა.

სამაგიეროდ სოციოპატ-შოვინსტებს თავნებობის ჟამი დაუდგათ. რა დროს კულტურ-მულტურობააო და თუ ერთი წლის წინათ ლოზუნგებზე ჯღაბნიდნენ „ძირს რუსეთის იმპერია!“ – ახლა „რუსების დედაო!“...

სურათი ნატურიდან. ერთ პატარა ქალაქში რუსულენოვან ახალგაზრდობასთან უსახური სუბიექტი მივიდა და მტრის ენაზე ლაპარაკის შეწყვეტა მოსთხოვა. იმის მოთხოვნას ყური არ ათხოვეს. რამდენადაც ტიპი შეუხედავი იყო და მარტო ბრძანდებოდა, ჩხუბი და დანების ტრიალი არ ამტყდარა.

ეგ კია, რომ იმისმა მსგავსმა სამხრეებიანმა არამზადებმა სიკვდილით დასაჯეს ის რამდენიმე ქართველი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც შეპყრობილი ოსების დახვრეტის ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ეგების ეს რამდენიმე უდანაშაულოდ დაღუპული ჭაბუკი ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს – საქართველოს ძირძველი მიწების – იმ სოფლებიდან იყვნენ, სადაც ქართლელები, იმერლები და მეგრელები ღვინითა და ხილით უმასპინძლდებოდნენ რუსულ სადაზვერვო ჯგუფებს დამტვერილ საბრძოლო მანქანებზე...

„სააკისტური“ რეჟიმის ჩამოგდების ამოცანა იოლი და უმტკივნეულო გადასაჭრელი იყო იმ ზაფხულის დღეებში და გვიან შემოდგომითაც. განსაკუთრებით ნატოს ჭირვეულ ოჯახში მდგომარეობის გათვალისწინებით. იმისი წევრები თეთრ სახლში ყარაულის შეცვლის კარიბჭესთან, პოლიტიკური კინკლაობებითა და ეკონომიკური მეტოქეობით დაშლილნი, ახლო და შუა აღმოსავლეთში ბრძოლებში ჩაფლულნი, საბირჟო ჩამოზვავებებში მოყოლილნი, ვერ შეძლებდნენ ინტერვენციით დახმარებას წაგებული დიქტატორ-ავანტიურისტისა. მათ აშინებდათ მძიმე ფიზიკური და მორალური დანაკარგების რისკი მთელი მსოფლიო სისტემისათვის განუჭვრეტელი შედეგებით.

მიუხედავად თავისი სამხედრო უპირატესობის, პროქართული რიტორიკის და სხვადასხვა პოლიტიკური დემარშისა, დასავლეთმა ჩაისვარა იმის გაფიქრებისას, რომ ამჟამინდელ პიროვნებში რუსეთთან სრულმასშტაბიანი ომი მოელოდა; როგორც კი რუსმა ჯარისკაცებმა გარეკეს ოსეთის მიწაზე შემოჭრილი ბანდრაზმები, რომელთა შემადგენლობაში იბრძოდნენ ისრაელისა და შტატების სპეცდანელები, ამ „მოკავშირეებმა“ საქართველოდან სასწრაფო ევაკუაცია დაიწყეს. ევროსივრცეში მოკალათებული უცხოელი მოღვაწეების თეატრალიზებულმა ვიზიტებმა თბილისში ხაზი გაუსვა საქართველოს იზოლაციას და არა საერთაშორისო თანამეგობრობის იზოლაციას. ამ თანამეგობრობაში ევროპულ-იუდეურ მმართველ ჯგუფს კი არა, მსოფლიოს იმ ხალხთა უმრავლესობას ვგულისხმობთ, რომელთაც გაუხარდათ იმათი ოდინდელი მტრისათვის, აშშ-სა და მათთან ერთად თბილისელი ფინიებისთვის გაწნილი სილა. „სააკისტთა“ იზოლაცია კიდევ უფრო აშკარა გახდა, როცა დასავლური ფლოტების გემებმა უმალვე მიუტანეს მათ შეურაცხმყოფელი ტვირთი: პამპერსები, შუასადებები, ტუალეტის ქაღალდი, სასმელი წყალი; ამბობენ, თითქოს იმ გემებით რაღაც იარაღიც მოიყოლეს, აქეთ-იქით გაქცეული ჯარისკაცებისგან დაყრილის მაგიერ; თუმცა, ეგ იარაღი, პამპერსებისა და ქალური შუასადებებისგან განსხვავებით, საეჭვოა გამოსდგომოდათ... ეგეც კია, რომ დასავლეთი არცთუ სახუმარო ფინანსურ შენაკადს შეჰპირდა ნახევრად ჩამოქცეულ რეჟიმს – ასე 4 მილიარდ დოლარამდე.

ლავრენტი გურჯიევი

# დიაგნოზი „სააკისტებისთვის“...

### ანუ დასავლეთმა დაადგინა საქართველოსგან „პატიოსანი ლიბერალურ-დემოკრატიული“ ვიტრინის შექმნა

ნაწყვეტები წიგნიდან



თარგმნა

**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 181

პროტესტი

## არჩილ არველაძე: ჩემს ცხოვრებაში თავი ასე ცუდად და შეურაცხყოფილად არ მიგრძვნია



**39 წლის ვარ და ჩემს ცხოვრებაში თავი ასე ცუდად და შეურაცხყოფილად არ მიგრძვნია, — ასე გამოეხმაურა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი არჩილ არველაძე პატიმართა წამების შესახებ გავრცელებულ ვიდეომასალას.**

მისი თქმით, პატიმართა წამების კადრების ნახვის შემდეგ სახლში ვერ გაჩერდა და ფილარმონიასთან მიმდინარე აქციას შეუერთდა.

„მთელი საქართველოს ღირსების საქმეა, ეს საქმე გამოიძიონ. დარწმუნებული ვარ, ღირსეული ადამიანები პოლიციაშიც არიან, რომლებიც სიცოცხლის ფასად ემსახურებიან თავის ხალხს. საქართველოს ღირსებაა, გამოიძიონ ეს საქმე და დამნაშავეები დაისაჯონ“, — განაცხადა არველაძემ.

მკლავჭიდი

# კვიკვინიას პოკერი

## ოთხგზის ჩემპიონს მოუგო და გაუთანაბრდა



**შორეული ბრაზილია ერთი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა მკლავჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელშიც სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის თავკაც ერეკლე გურჩიანის ხელმძღვანელობით ქართველი სპორტსმენებიც იბრძოდნენ ჯილდოებისთვის. განსაკუთრებით გენადი კვიკვინიამ გვასახელა: 110 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან როგორც მარჯვენა მკლავით, ისე ცაციათი ფინალში ორჯერ დაჯაბნა მასპინძელი ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვაგნერ და სილვა ბორტოლატო და ბრაზილიელს ტიტულებით გაუთანაბრდა.**

75 კილოში თავი გამოიჩინა ნიკოლოზ მათიაშვილმა. გადამწყვეტ პაექრობამდე მარჯვენა მკლავით იგი დაუმარცხებლად მივიდა, იქ კი ლატვიელ იანის ამოლინს დანებდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ამავე წონაში, ოღონდ მარცხენა მკლავით ბრინჯაოს მედალი ერგო ჯაბა გეთიაშვილს.

ახალგაზრდებში ვერცხლი და ბრინჯაო მოიხვეჭა გურამ აბულაშვილმა. მარცხენათი მან მხოლოდ ფინალი დათმო გერმანელ ფილიპ სტაჰლაიფენთან, მარჯვენა მკლავით კი ბრინჯაოს დასჯერდა.

**ლექსო ცინცაძე**

ძიუდო

# საქართველო – სრული შემადგენლობით



**შარშან ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე ქართველმა კიმონოიანებმა თითო ოქრო-ბრინჯაოს და ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ლაშა შავდათუაშვილი, რომელმაც წლეულს ლონდონში ოლიმპიური თამაშები მოიგო.** ამ დღეებში კონტინენტის პირველობას ხორვატული პორეჩი მასპინძლობს. დღეს ტატამზე გავლენ 55, 60 და 66 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავნები, ხოლო ხვალ და ზეგ სხვა წონებში გამოვლინდებიან მედალოსნები. გიორგი გუგავას ხელმძღვანელობით საქართველოს სპორტულ ღირსებას ლერი ჭელიძე, მინდია ღოლიჯაშვილი (ორივე – 55ძ, ვაჟა მარგველაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (60ძ, ბექა ტუღუში, ბექა ვიბლიანი (66ძ, ლევან გუგავა, ფრიდონ გიგანი (73ძ, ბექა ღვინიაშვილი, ბექა დოლვანი (81ძ, ლაშა ტაველური, რევაზ წულუკიძე (90ძ, გურამ თუშიშვილი, გიორგი ქავთარაძე (100ძ, ლევან მატიაშვილი და როსტომ ხახალეიშვილი (100ძ დაიცავენ.

**გივი გაგუა**

ფეხბურთი

# თხა თხაზე ნაკლებისაო...



**თითქოს პირი შეკრესო, ესპანური ფეხბურთის გრანდებმა კარგა გვარიანად ანერვიულეს ქომაგები, თუმცა საბოლოოდ მაინც მოიგეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის სასტარტო შეხვედრები.**

მადრიდის „რეალის“ მონაწილეობით დადგმული სპექტაკლის შესახებ გუშინ ვისაუბრეთ, ამიტომ ამჯერად კატალონიელთა სამადლო გამარჯვებას შევაწიოთ ორიოდე სიტყვა.

მოგეხსენებათ, სპორტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია უხერხული მეტოქის ფაქტორი. „ბარსელონასთვის“ ასეთად რუსული კლუბები ჩამოყალიბდნენ.

სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება, როგორი ჩხვლეტა მიაყენა „ნოუ კამპის“ ბინადართა: ლაუდრუპის, სტოიჩკოვისა და რომარიოს ლეგენდარულ თაოზას ცსკა-მ – 3:1.

გავიდა ათწლეულები და უკვე ყაზანის „რუბინის“ ჯერი დადგა, რომელმაც სტუმრად 2009 წელს გაისროლა – 2:1. და აი, ოციოდე წუთიც და აღნიშნულ ნუსხას რუსეთის „სახალხო გუნდიც“ შეუერთდებოდა, მაგრამ...



მოსკოვის „სპარტაკთან“ მატჩი მასპინძელთათვის თავიდანვე დაითარსა: ინიესტასა და პუიოლის არყოფნაში მეათე წუთზევე შესაცვლელი გახდა პიკე, მალე დანიელ ალვეშმა გაიტანა ავტოგოლი, ხოლო მესი ზედიზედ ეხმებოდა ჩრდილოელთა მასირებული დაცვის აბლაბუდაში და უჩვეულოდ ხშირად კარგავდა ბურთს.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ მაშინ, როცა ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა, ფავორიტს მხსნელად სწორედ არგენტინელი გენიოსი მოევლინა, რომელმაც დროის დასკვნით მონაკვეთში ტელოს და სანჩესის ასისტენტობით მაინც შეასრულა ტრადიციული „დუბლი“ და პარტნიორებს შვება მოჰგვარა – 3:2.

**ოთხშაბათის თამაშების სრული შედეგები:**

**„ე“ ჯგუფი. „ჩელსი“ – „იუვენტუსი“ 2:2 (ოსკარი – 2; ვიდალი, კვარიარელაძ, „შახტარი“ – „ნორდსიელანდი“ 2:0.**

**„ვ“ ჯგუფი. „ბაიერნი“ – „ვალენსია“ 2:1 (შვაინშტაიგერი, კროოსი; ვალდესიძ, „ლილი“ – ბატე 1:3 (შედჯუ; ვოლოდკო, როდიონოვი, ომელჩენკოძ.**

**„ზ“ ჯგუფი. „ბარსელონა“ – სპარტაკი“ 3:2 (ტელო, მესი – 2; დანიელ ალვეში – საკუთარ კარში, რომულოძ, „სელტიკი“ – „ბენფიკა“ 0:0.**

**„თ“ ჯგუფი. „მანჩესტერი“ – „გალათასარაი“ 1:0 (კერიკიძ, „ბრაგა“ – „კლუჟი“ 0:2.**

**გიორგი შოთაძე**

ჭიდაობა

# გულუხვი მასპინძლების სოლიდური პრიზები



**აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევის სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ფინალური ტურნირი სულ უფრო პოპულარული ხდება და ამას ხელს უწყობს საპრიზო ფონდის ყოველწლიური ზრდა. მაგალითად, წლეულს ამ შეჯიბრებისთვის 441.000 დოლარია გამოყოფილი.** გამარჯვებული 10.000 დოლარს მიიღებს, მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 5.000 და 2.000 დოლარით დაჯილდოვდებიან. შეჯიბრებაში მონაწილეობა შეზღუდულია. იქ გამოსვლის უფლება ფალავნებს ორი შესარჩევი პაექრობის შედეგებით ეძლევათ. საქართველო ტურნირზე 11 მოჭიდავით წარდგება. „კლასიკოსთაგან“ ჩვენი ქვეყნის ნაკრებში არიან ნიკა ცერცვაძე (55ძ, მარადი აბულაძე (66ძ, ილია გულბათაშვილი (74ძ, რევაზ ნადარეიშვილი (84ძ, ირაკლი ქაჯაია (96ძ და სერგო გოგისვანიძე (120ძ, „თავისუფლების“ გუნდში კი გიორგი ედიშერაშვილი, ტრისტან ჩირგაძე (ორივე – 55 კგძ, იაკობ მაქარაშვილი (74ძ, ელიზბარ ოდიკაძე (96ძ და გიორგი საკანდელიძე (120ძ იასპარეზებენ.

**ლაშა დიდია**

სარედაქციო ფოსტიდან

# ათი ათასად ზრდილობა...

## ვეხმაურები ემა ტუხიაშვილის წერილს — „მჟავანაძის როლი ქურდღლების გამრავლების საქმეში“...

**ჯერ წერილის სათაურში (გამოქვეყნებულია „კვირის პალიტრის“ სექტემბრის ერთ-ერთ ნომერში) იგრძნობა სრულიად უადგილო და დაუმსახურებელი ირონია. დარწმუნებული ვარ პატივცემული ვასილი ამ რაიონში სხვა, უფრო სერიოზულ საქმესთან დაკავშირებით მოხვდა და ფერმაც დაათვალიერა. რა არის აქ საქილიკო და საირონიო. მოსახლეობის უზრუნველყოფას ხორცით, რძით და რძის პროდუქტებით იმ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონ-**



**და და წყდებოდა კიდეც იგი საკმაო წარმატებით, სწორედ მესაქონლეობის, მეფრინველეობისა და მებოსტნეობის განვითარებისა და, შესაბამისად, მათთვის საჭირო ბინების (ფერმების) ფართო ქსელის მშენებლობასა და ექსპლუატაციის ფონზე.**

სათაურში გაპარებულ „ხამობას“ გავუძლებდით, წერილის ტექსტში რომ უარესი არ გვხვდებოდეს.

მინდა ქალბატონ ტუხიაშვილს ვკითხო: როგორ გავიგოთ ვასილ მჟავანაძის მიერ სენაკის რაიონში მეღორეობა-მეზოცვრეობის ფერმის დათვალიერებასთან კინოფილმ „უდიპლომო სასიძოს“ სასაცილო პერსონაჟის — „მომეცნიერო ვეტერინარ“ ნიკოლოზის „საქმიანობასთან“ დაკავშირება?!

ამ დათვალიერების ამბების რევოლუციონერ როზა ლუქსემბურგის ნაშიერობასთან „მიბმამ“ ხომ უფრო დაგვაბნია.

ასე რომ, ძვირფასო ემა, მიხედე საქმეს თუ შეგიძლია, ლუქსემბურგს თავი დაანებე და ვასილ მჟავანაძეს. ამ დიდად საპატივცემულო პიროვნებას ნუღარ ახსენებ, თქვენ ამის უფლება უკვე დაკარგეთ. მის კეთილად ხსენებას საქართველოში (სხვათა შორის, უკრაინაშიც, სადაც იგი სამხედრო სამსახურში იმყოფებოდაძ, ხმა არ მოაკლდება. თქვენი ამ წერილის წაკითხვისას კი, დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ ადამიანს არასასიამოვნო გრძნობა დაეუფლება. სწორედ ისეა საქმე ათასად რომ გვარი დაფასდა და ათი ათასად ზრდილობა...

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი**

# საჯარო აუქციონი

**სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელი“ 2012 წლის 21 სექტემბრიდან აცხადებს საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საჯარო აუქციონს;**

**აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი იქნება არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების უძრავი ქონება – მიწის ნაკვეთი, მდებარე ქ. თბილისში, დ. გურამიშვილის გამზირი №84.**

**აუქციონზე გასაყიდი ქონების მახასიათებელი რეკვიზიტებია:**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი - საკუთრება; ნაკვეთის ფუნქცია - არასასოფლო სამეურნეო; დაზუსტებული ფართობი – 4017კვ.მ; სარეგისტრაციო ზონა – ქ. თბილისი, კოდი 01; სექტორი: ნაძალადევი, კოდი 12; კვარტალი 01; მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 01.12.01.003.080**

საწყისი გასაყიდი ფასი 210000 (ორას ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით.

აუქციონის „ბე“ თანხა – 10000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით;

„ბიჯის“ ოდენობა – 10000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში, აუქციონის ჩატარების დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება დაიწყება 2012 წლის 21 სექტემბერს და გაგრძელდება 2012 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებელის“ ადმინისტრაციულ შენობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-2 სართული, მარკეტინგის განყოფილება, ოთახი №216.

საჯარო აუქციონი ჩატარდება 2012 წლის 27 სექტემბერს, 15.00 საათზე მისამართზე, ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №84, მე-3 სართული, ოთახი 313.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:**

**ა) განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეობის მიღების მსურველი პირის შესახებ;**

**ბ) „ბეს“ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს – სს „საქართველოს ბანკში“, სს „ელმავალმშენებლის“ საბანკო ანგარიშზე: GEL-account: ბანკის კოდი: BAGAGE22 (ა№GE59BG0000000298256900);**

**გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);**

**დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;**

**ე) განახლებული ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში) და უფლებამოსილი პირის (დირექტორის) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.**

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია** ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯის“ დანამატით მიღებული თანხის) გადახდა.

იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე ვერ გაიმარჯვებს აუქციონში, მას ერთი კვირის ვადაში უკან დაუბრუნდება ბეს სახით გადახდილი თანხა. გამარჯვების შემთხვევაში კი გამარჯვებულ მონაწილეს ბე ჩაეთვლება გადასახდელი თანხის ნაწილად.

**აუქციონის პირობები:**

აუქციონზე გამოტანილი 4017მ² მიწის ნაკვეთი წარმოადგენს სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებულ დაუტვირთავ მიწის ნაკვეთს; იგი მდებარეობს სს „ელმავალმშენებლის“ კუთვნილი საიარაღო საამქროს საწარმოო კორპუსის ჩრდილოეთ მხარეს, მასზე არ არის აღმართული რაიმე სახის შენობა-ნაგებობა, იგი არის უფლებრივად უნაკლო – არ არის დატვირთული ან/და დაყადაღებული, არ არის სადავო, თავისუფალია მესამე პირის უფლებებისაგან. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იყიდება შემდეგი სავალდებულო პირობებით:

**1. შემძენი ვალდებულია, მიწის ნაკვეთის გადაფორმებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა შეძენილი მიწის ნაკვეთის პერიმეტრზე, სს „ელმავალმშენებლის“ მომიჯნავედ (გარდა მე-9 საამქროს მიმდებარე ტერიტორიისა) აღმართოს სასაზღვრო მიჯნა – არანაკლებ 2,4 მეტრი სიმაღლის გამყოფი კაპიტალური ღობე (რკინა-ბეტონის ფილებით) და ზედ შემოვლებული დამცავი ეკლიანი მავთულით;**

**2. შემძენი ვალდებულია, ითმინოს შეძენილ მიწის ნაკვეთზე დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში გამავალი სს “ელმავალმშენებლის“ კუთვნილი ელექტროგაყვანილობის კაბელისა და საჟანგბადე მილის არსებობა. აღნიშნული მილისა და კაბელის დაზიანების შემთხვევაში, სარემონტო სამუშაოების ჩატარების ვალდებულება ეკისრება სს „ელმავალმშენებელს“. იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის შემძენი გადაწყვეტს საჟანგბადე მილისა და ელექტროგაყვანილობის კაბელის გადატანას თავისი მიწის ნაკვეთიდან, მან ეს უნდა გააკეთოს საკუთარი სახსრებითა და ძალებით, სს „ელმავალმშენებელთან“ წინასწარ შეთანხმებულ ადგილსა და ვადაში.**

პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების ერთი წლის ვადაში სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, გასხვისებული მიწის ნაკვეთი დაუბრუნდება ისევ სს „ელმავალმშენებელს“, ხოლო შემძენს მის მიერ გადახდილი მიწის ნაკვეთის საფასური დაუბრუნდება მიწის ნაკვეთის შემდგომი (ხელახალი) რეალიზაციის შედეგად თანხის სს „ელმავალმშენებლის“ ანგარიშზე დარიცხვის შემდეგ, პირგასამტეხლოს სახით მის მიერ გადახდილი თანხის 10%-ის გამოკლებით. ამასთან, შემძენს არ აუნაზღაურდება მის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაწეული ხარჯები.

შემძენი გათავისუფლდება პირგასამტეხლოს გადახდისაგან, თუკი დაამტკიცებს, რომ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებით, როგორიცაა ომი, სტიქიური უბედურება, ეპიდემია, სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან ამა თუ იმ მოვლენის ფორს-მაჟორულ გარემოებად მიჩნევის თაობაზე, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია წარმოადგინოს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გამოცემული შესაბამისი აქტი. ფორს-მაჟორი შემძენს ათავისუფლებს მხოლოდ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან და არა ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო წინამდებარე აუქციონის პირობებით დადგენილი სხვა შედეგებისაგან.

თავის მხრივ, სს „ელმავალმშენებელი“ იღებს ვალდებულებას მე-9 საამქროს მიმდებარედ არსებული ესტაკადის გასწვრივ უზრუნველყოს სასაზღვრე მიჯნის აღმართვა, ამასთან საშენ მასალად გამოიყენოს არსებული კედლის ფილები. გარდა აღნიშნულისა, სს „ელმავალმშენებელი“ იღებს ვალდებულებას და აცხადებს, რომ ის თანახმაა მიწის ნაკვეთის ახალმა მესაკუთრემ:

1. სასაზღვრე მიჯნის აღსამართად საჭირო საშენი მასალის შემოტანის მიზნით ისარგებლოს სს „ელმავალმშენებლის“ ტერიტორიით;

2. უსასყიდლოდ ისარგებლოს სს „ელმავალმშენებლის“ საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემებით (არსებულ სისტემებს მიუერთოს თავისი საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, გასასხვისებელი ნაკვეთის ჩრდილოეთით მდებარე საკანალიზაციო ჭის მეშვეობით); ამასთან, ახალი მესაკუთრე ვალდებულია აღნიშნულ (თავის) სისტემებს მიმდინარე მომსახურება გაუწიოს საკუთარი ხარჯით;

3. მიწის ნაკვეთის გადაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში ელექტროენერგია მიიღოს სს „ელმავალმშენებლის“ საკუთრებაში არსებული, მე-9 საამქროსთან მდებარე სარეზერვო 1000კვტ-იანი ტრანსფორმატორიდან, შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, სს „თელასიდან“ ტექნიკური პირობის მოპოვების შემდეგ, საკუთარი მრიცხველის დამონტაჟების ვალდებულებით; მყიდველი ვალდებულია სარეზერვო ტრანსფორმატორიდან შეძენილ მიწის ნაკვეთამდე ელექტროენერგიის გაყვანა უზრუნველყოს საკუთარი ხარჯით და თავის ელექტროგაყვანილობას თავად გაუწიოს მიმდინარე მომსახურება. სარეზერვო ტრანსფორმატორის საიჯარო ქირისა და პირობების შესახებ მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში, შემძენი ვალდებულია საჯარო აუქციონზე შეძენილი ქონების საფასური (საბოლოო თანხა) გადაიხადოს საჯარო აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადის დარღვევის შემთხვევაში აუქციონის შედეგები ჩაითვლება გაუქმებულად, ხოლო აუქციონში გამარჯვებული დაკარგავს გადახდილ ბეს.

ქონების საჯარო აუქციონის ფორმით შესყიდვისას ქონების შემძენზე საკუთრების უფლება გადადის თანხის მთლიანად გადახდის შემდეგ, ნასყიდობის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციით.

ზემოაღნიშნული ყველა პირობა ასახული იქნება მხარეთა შორის გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი №84. საკონტაქტო პირები: დავით გორგოძე (მობ.: 577 55 10 34), თეა თურქია (მობ.: 555 123 183), ასევე იხილეთ სს „ელმავალმშენებლის“ ოფიციალურ ვებ-გვერდზე: w.w.w.glmf.ge**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

**ოთარ ტურაბელიძე, დალი ხუნდაძე, ირაკლი ამაშუკელი, პაატა, ნუკრი ბარათაშვილები, ბიძინა ფურცელაძე, ბიძინა ჩიგოგიძე, გიორგი ლაშხი, ნუგზარ გელოვანი, ვაჟა ჯიჯავაძე, მამუკა ვაშაკიძე სამძიმარს უცხადებენ ოთარ, გივი კანდელაკებს ძმის**

**ნოდარ კანდელაკის**

**გარდაცვალების გამო.**

# არა ძალადობას! არა წამებას!






# სტუდენტთა პროტესტის მესამე დღე

## გუშინ თბილისის ქუჩებში









ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

## ◎ დღესასწაული



### შობა ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

**21 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიამის შობას.**

...იესო ქრისტემ იმისთვის, რომ ადამის მოდგმა ეხსნა, ადამიანის ბუნების მიღება ინება და დედად ყოვლადწმინდა მარიამი გამოარჩია, რომელიც ერთადერთი იყო ადამიანთაგან, ვისაც ღვთის დატევნა და სიწმინდის წყაროს განხორციელება შეეძლო.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი მარიამი გალილეის პატარა ქალაქ ნაზარეთში დაიბადა. მისი მშობლები იოაკიმე და ანა ღმრთის მოშიშნი უშვილოდ დაბერდნენ... მოხუცები ღმერთს მხურვალედ ევედრებოდნენ შვილის მიცემას. აღთქმაც დადეს რომ ახალშობილს ტაძარში მსახურებისთვის უფალს მიუძღვნიდნენ.

ღმერთმა უბოძა წმინდა ოჯახს იესოს მომავალი დედა!

მარიამ ღვთისმშობლის შობის სახელობის სახელს ატარებს დიდუბის, ბეთანიის, გელათის, შუამთის ტაძრები.

გიული ლიპარტია

## ◎ ანეკდოტები

— **გათხოვებას** რომ აპირებ, წვნიანის გაკეთება მაინც თუ იცი? — ეკითხება დედა ქალიშვილს.

— ვიცი, აბა არ ვიცი?!

— აბა, რა არის საჭირო წვნიანისთვის?

— მშიერი ქმარი.

* * *

— **ქალო,** — ეუბნება მეზობელი ავადმყოფ მაყვალას, — ასე ცუდად რავა ხარ, ლოგინიდან რომ ვერ დგები?

— იმიზა არ ვდგები, რომ ჩემი ლოთი ქმარი ამ ლოგინსაც გამიყიდის.

* * *

— **ჩემი** საქმრო საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ ხუთი წლით და ყოველ თვეში მიგზავნიდა ბანდეროლებს.

— მერე?

— მერე იმ ფოსტალიონს გავყევი, რომელსაც ბანდეროლები



მოჰქონდა, გაწყდა კაცი წელში. იცი, რა მძიმე ბანდეროლები იყო?!

* * *

— **კახეთში** ქელეხია. მიტომ ოხშივარავარდნილი ხაშლამის ჯერ ერთი ნაჭერი გადაიღო, მერე მეორე, მერე მესამე. ნერწყვმორეულმა შაქრომ ვეღარ მოითმინა:

— კარგი, რა, ჯო! თეფშზე ძვლების დასაყრელი ადგილი მაინც დაიტოვეთ.

* * *

**უკაცრავად,** ცენტრალური საარჩევნო კომისიაა?

— დიახ.

— პრეზიდენტობა მინდა!

— გიჟი ხარ?

— ეგ აუცილებელი მოთხოვნაა?

* * *

**რაჭველი** გოგოს აბამს, თვალს ჩაუკრავს და რომ გაახელს, გოგო წასული დახვდება.

* * *

**სვანი** ქუჩაში სარკეს იპოვის, ჩაიხედავს სარკეში და გაკვირვებული იტყვის: ჩემი ყოფილაო.

## ◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან

#### „პატიმრების შესახებ კადრების გავრცელება ყველაზე მეტად მერაბიშვილს აწყობდა“

— აცხადებს მოძრაობა „არას“ ლიდერი ლევან ჩიტაძე, — ვისაც ამ ვიდეომასალის გამოქვეყნება ყველაზე მეტად აწყობდა, პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილია, რადგან ბაჩო ახალაიას გამინისტრების შემდეგ, მან ყოველნაირი ძალაუფლება დაკარგა.

„ახალი თაობა“

#### კვესიტაძე და სანაია პირველი არხის საინფორმაციოს აკრიტიკებენ

საზოგადოებრივი მაუწყებლის ცნობილი წამყვანები — ეკა კვესიტაძე და ვახო სანაია პირველი არხის სარედაქციო პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიან. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გლდანის საპყრობილეში გადაღებული კადრები „არასათანადოდ“ და „არაადეკვატურად“ გააშუქა, აცხადებენ ჟურნალისტები და 19 სექტემბერს ტელევიზიის წინ სტუდენტების პროტესტსაც შეუერთდნენ. „ჯერჯერობით გადაწყვეტილი არა მაქვს წამოვალ თუ არა, თუმცა ეს არ არის მარტო დღევანდელი დღის ამბავი. დიდი ხანია, ძალიან დიდ დისკომფორტს განვიცდი არხის საინფორმაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით“, — ამბობს კვესიტაძე.

„რეზონანსი“

#### ინტერვიუ ვლადიმერ ბედუკიძესთან

გლდანის №8 საპყრობილეს ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ბედუკაძე, რომელიც წამების ვიდეოჩანაწერებს აკეთებდა, ამჟამად ძებნილია და ბრიუსელში პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს: „მე ვიტყვი გახმაურებულ მკვლელობებთან დაკავშირებით ინფორმაციებს და რეალურად დავადებ ხელს დამკვეთებსა და შემსრულებლებს. იმ ოჯახებს კი ბოდიშს მოვუხდი, ვისი ოჯახის წევრებიც მოკლეს, რადგან მათ ხელახლა განვუახლებ ტკივილს“, — ამბობს ბედუკიძე.

„ალია“

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24